



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Skills4Jobs



საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის
გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული
კვალიფიკაციების მოთხოვნა - მიწოდების შესაბამისობა


ანგარიში

25 დეკემბერი 2020





ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე
სრულად პასუხისმგებელია კონტრაქტორი და შესაძლოა, რომ იგი არ
გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.



ანგარიში მოამზადეს:

ანასტასია ქიტიაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის (Skills4Jobs TA Project)“ ექსპერტი

ნანა სუმბაძე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის (Skills4Jobs TA Project)“ ექსპერტი

ირინა ბადურაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის (Skills4Jobs TA Project)“ ექსპერტი

მაია მაისურაძე, სოციალური ფსიქოლოგი, ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის (Skills4Jobs TA Project)“ ექსპერტი

გვანცა ტაბატაძე, ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის (Skills4Jobs TA Project)“ ოფიცერი

ნინო ქუთათელაძე, ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის (Skills4Jobs TA Project)“ ოფიცერი



სარჩევი

შესავალი	5
1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია	7
2. არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა, ახალგაზრდების რაოდენობა და მათი წილი მოსახლეობაში	10
3. ქვეყნის სოციალური მდგომარეობა	14
4. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მთლიანი შიდა პროდუქტი	16
5 საქართველოს შრომის ბაზარზე უნარების მოთხოვნის ანალიზი	30
6. საქართველოს საგანმანათლებლო სექტორი	35
7. პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ხელმისაწვდომობა და პროფესიული უნარების მოთხოვნა - მიწოდების შესაბამისობა	47
8. დასკვნები და რეკომენდაციები	52

შესავალი

ამ კვლევის მიზანია საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა - მიწოდების შეფასება რეგიონების/მუნიციპალიტეტის დონეზე. კვლევა ჩატარდა ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის“ ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

ბოლო ათწლეულია მიმდინარეობს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა, რომლიც ინიციატივების ფართო სპექტრს მოიცავს; მათ შორისაა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ადამიანური რესურსების განვითარება მიმდინარე და სამომავლო, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროების მიხედვით, ინდივიდუალური პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების ხელშეწყობა, ინკლუზიური, ყველასთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების კონტექსტში და ა.შ.

წინამდებარე კვლევა პროფესიული განათლების რეფორმის ორ მნიშვნელოვან ასპექტს შეეხება: პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობა.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტია. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მე-4 (ხარისხიანი განათლება) და მე-8 მიზნის (დასაქმება და ეკონომიკური ზრდა) მისაღწევად. ამასთანავე, საქართველოს აქვს აღებული ვალდებულება, რომ 2030 წლისათვის გაუმჯობესდეს ახალგაზრდებისა და ზრდასრული პირების უნარ-ჩვევები ღირსეული დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში პროფესიული განათლების სტუდენტთა რაოდენობა 10 000 – დან 16 000 – მდე მერყეობდა ყველა ტიპის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (EMIS მონაცემების მიხედვით); 2017-2019 წლებში ერთიან პროფესიულ ტესტირებაზე დარეგისტრირებულთა (რეგისტრანტების) დინამიკა კლებადია: 2018 წელს რეგისტრანტთა რაოდენობა 19.6%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო 2019 წელს კი 11.9%-ით¹. რეგისტრირებულთაგან დაახლოებით 58-60% ირიცხება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, თუმცა ყოველწლიურად იკლებს ჩარიცხულთა აბსოლუტური რაოდენობა, რაც ძირითადად მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას უკავშირდება. თუმცა საგულისხმოა, რომ რეგისტრანტთა და ჩარიცხულთა დინამიკის შემცირების მიუხედავად 2017-2019 წლებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა არ მცირდება: 2019 წელს 10,058 სტუდენტმა მიიღო პროფესიული განათლების დიპლომი; 2018 წელს - 10,371; 2017 წელს - 9,132. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2019 წლებში ჩარიცხული სტუდენტების 62-69% საჯარო დაწესებულებებზე მოდის²; 2015 - 2019 წლების ჩარიცხული სტუდენტების დაახლოებით 2/3 თბილისსა და ბათუმში სწავლობს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ

¹ პროფესიული განათლების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი. 2020. ანგარიში მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტისა და კვლევითი კომპანია „ეისითის“ თანამშრომლობით

² გაანგარიშებულია EMIS მონაცემთა ბაზის მიხედვით

პროფესიული განათლება შეიძლება ნაკლებად იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის პატარა ქალაქებსა და რეგიონებში. პროფესიული განათლებაში ნაკლებია 15-19 წლის ახალგაზრდების წილი. 2015 - 2019 წლებში ჩარიცხული სტუდენტების უმრავლესობა 19-დან 29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფშია (55.4%). 30 წელს გადაცილებული პირები მთლიანი სტუდენტების თითქმის მეხუთედს შეადგენენ (19.8%) (ETF, 2019). პროფესიულ განათლებაში მონაწილეობაზე სხვა ფაქტორებთან ერთად გავლენას ახდენს პროფესიული განათლების ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და მისი შესაძლებლობები რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლებისა და მათი ფილიალების დაფუძნება/განვითარება, შენდება სტუდენტური საერთო საცხოვრებლები, ხოლო სპეციალური პროგრამის ფარგლებში დევნილი სტუდენტები იღებენ ტრანსპორტირების დაფინანსებას. საქართველოში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს 92 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება (EMIS, 2020 წლის ივლისის მონაცემები), 67 კოლეჯი/საზოგადოებრივი კოლეჯი, 18 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 7 სკოლა. 2019 წლის ბოლოსა და 2020 წლის დასაწყისისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ქვეყნის ათივე რეგიონსა და 37 მუნიციპალიტეტში (თბილისის ჩათვლით) იყო ხელმისაწვდომი. სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ქვეყნის ყველა რეგიონშია, ხოლო კერძო დაწესებულებები არ მოიცავს მცირე ზომის რეგიონებს, როგორიცაა მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი და გურია.

ისეთ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, უნარებზე მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობა ხშირად გამოწვევაა. მოთხოვნა-მიწოდების ბალანსზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები, მათ შორის სწრაფი ეკონომიკური რესტრუქტურისაცა, განათლების სისტემის შესაბამისობა შრომის ბაზრის საჭიროებებთან, სოფლის მეურნეობისა და დაბალ პროდუქტიული მომსახურების სექტორის დომინირება, ხოლო თანამედროვე, მაღალპროდუქტიული სექტორების ნაკლებად განვითარება. არსებული კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში შეიმჩნევა როგორც ზედმეტად ასევე არასათანადოდ კვალიფიციური სამუშაო ძალის პრობლემა³. ზედმეტი კვალიფიკაცია პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა 38%-თან ფიქსირდება, ხოლო დაბალი კვალიფიკაცია 27.5%-თან. მოკლევადიანი შეუსაბამობა გავლენას ახდენს ძირითადად ახალგაზრდებზე, ხოლო გრძელვადიანი შეუსაბამობა იწვევს ადამიანური კაპიტალის დაკარგვასა და რესურსების არაეფექტურ გამოყენებას. ორივე კი უარყოფით აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. პროფესიულ განათლებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს უნარების მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობის გაუმჯობესებაში.

პროგრესისდა მიუხედავად, როგორც პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ასევე პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობა საქართველოში ჯერ კიდევ გამოწვევაა; შესაბამისად წინამდებარე კვლევა მნიშვნელოვანია და მისი შედეგების გამოყენება შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით:

- პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ხელმისაწვდომობის შესაფასებლად ქვეყნის, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მასშტაბით
- იმის შესაფასებლად, თუ რა ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბება/გაფართოვებაა რეკომენდებული რეგიონების/მუნიციპალიტეტების დონეზე?

³ ETF, 2019

- პროფესიული კვალიფიკაციებზე მოთხოვნა-მიწოდების შეუსაბამობის მასშტაბის შესაფასებლად
- მოთხოვნი პროფესიული კვალიფიკაციების, პროფესიების განსაზღვრის მიზნით რეგიონების/მუნიციპალიტეტების დონეზე
- იმის შესაფასებლად, თუ რა ტიპის პროფესიული პროგრამების (გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგრამები და ა.შ.) დანერგვაა რეკომენდებული რეგიონებსა/მუნიციპალიტეტებში არსებული მოთხოვნის შესაბამისად
- საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრის მიზნით მუნიციპალიტეტისა და რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით

1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

1.1. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა - მიწოდების შეფასება რეგიონების / მუნიციპალიტეტების დონეზე.

კონკრეტულად კვლევა ფოკუსირებულია შემდეგ კითხვებზე:

- რამდენად ხელმისაწვდომია პროფესიული საგანმანათლებლო ქსელი რეგიონებსა / და მუნიციპალიტეტებში?
- რა ტიპის პროფესიულ კვალიფიკაციებზე, პროგრამებზეა მოთხოვნა რეგიონების / მუნიციპალიტეტის მიხედვით?
- რა ტიპის პროფესიული პროგრამების განხორციელებაა რელევანტური კონკრეტულ მუნიციპალიტეტში?
- რა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება/გაძლიერებაა რელევანტური კონკრეტულ მუნიციპალიტეტში?

კვლევა მოიცავს საქართველოს 10 რეგიონსა და თბილისს და 69 მუნიციპალიტეტს.

ცხრილი 1. კვლევაში ჩართული საქართველოს რეგიონები და მუნიციპალიტეტები

	რეგიონი	ცენტრი	მუნიციპალიტეტები
1.	თბილისი	თბილისი	
2.	აჭარა	ბათუმი	ქ. ბათუმის; ქედის; ქობულეთის; შუახევის; ხელვაჩაურის; ხულოს
3.	გურია	ოზურგეთი	ქ. ოზურგეთის; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი; ოზურგეთის; ჩოხატაურის
4.	იმერეთი	ქუთაისი	ქ. ქუთაისის; ბაღდათის; ვანის; ზესტაფონის თერჯოლის; სამტრედიის; საჩხერის; ტყიბულის; წყალტუბოს; ჭიათურის; ხარაგაულის; ხონის
5.	კახეთი	თელავი	ქ. თელავის; ახმეტის; გურჯაანის; დედოფლისწყაროს; თელავის; ლაგოდეხის ; საგარეჯოს; სიღნაღის ; ყვარლის
6.	ქვემო ქართლი	რუსთავი	ქ. რუსთავის; ბოლნისის; გარდაბნის; დმანისის; თეთრიწყაროს; მარნეულის წალკის

7.	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	ქ. მცხეთის; დუშეთის; მთიანეთის; მცხეთის; ყაზბეგის
8.	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო-სვანეთი	- ამბროლაური	ქ. ამბროლაურის; ამბროლაურის; ლენტეხის; ონის ცაგერის
9.	სამეგრელო ზემო სვანეთი	- ზუგდიდი	ქ. ზუგდიდის; ქ. ფოთის; აბაშის; ზუგდიდის; მარტვილის; მესტიის; სენაკის ; ჩხოროწყუს; წალენჯიხის; ხობის
10.	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქ. ახალციხის; ადიგენის; ასპინძის; ახალქალაქის; ახალციხის; ბორჯომის; ნინოწმინდის
11.	შიდა ქართლი	გორი	ქ. გორის; გორის; კასპის; ქარელის; ხაშურის

ანალიზი ჩატარებულია რეგიონების დონეზე, თუმცა სადაც შესაბამისი მონაცემი იყო ხელმისაწვდომი გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტების დონეც.

1.2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდს წარმოადგენდა სამაგიდე კვლევის, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების ერთობლიობა. კვლევაში გამოყენებული იყო მეორადი და პირველადი მონაცემები.

1.2.1 ქვეყნის მასშტაბით

სამაგიდე კვლევა და მეორადი მონაცემები

სამაგიდე კვლევამ მოიცვა: ქვეყნის ზოგადი მიმოხილვა; ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა; სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი, სიღარიბე და უთანასწორობა; საგანმანათლებლო სექტორი - საგანმანათლებლო ქსელი, პროგრამები და კვალიფიკაციები.

2017-2021 წლის რეგიონული განვითარების სტრატეგიები სხვადასხვა საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იქნა შედგენილი; შესაბამისად ანალიზში გამოყენებული იყო რეგიონული განვითარებისა და მუნიციპალიტეტების სტრატეგიები, როგორც სანდო მონაცემთა წყაროები. ანალიზმა ასევე მოიცვა სექტორული განვითარების სტრატეგიები, როგორცაა საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის (2016), საქართველოს სოფლის მეურნეობისა

და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027 (2019) და ა.შ. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები განათლების, ეკონომიკის, დასაქმებისა და სხვა მომიჯნავე სფეროებში.

ასევე გამოყენებული იქნა ახალგაზრდების კვლევის მონაცემები (ახალგაზრდობის სააგენტო) პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ბარიერების შესახებ; EMIS მონაცემთა ბაზა.

1.2.1 რეგიონების მასშტაბით

1.2.1.1. მოთხოვნის ანალიზი

სამაგიდე კვლევა

სამაგიდე კვლევამ მოიცვა: შრომის ბაზრის ანალიზი; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი; საწარმოთა ბრუნვა რეგიონების დონეზე; საწარმოთა ბრუნვა ზომის მიხედვით; რეგიონული განვითარების გეგმები, ეროვნული სექტორის განვითარების სტრატეგიები, უნარების საჭიროებების შესახებ არსებულ კვლევები.

პირველადი მონაცემები

პროფესიულ კვალიფიკაციაზე მოთხოვნა-მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის მიზნით ჩატარდა მუნიციპალიტეტების გამოკითხვა შემდეგ საკითხებზე:

- მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი დარგები
- ადგილობრივი დამსაქმებლები
- ამჟამინდელი ინვესტიციები და მომავალი 3 წლის განმავლობაში

ანალიზისას დიდ წილად გამოკითხვით მიღებული ინფორმაცია იქნა გამოყენებული, თუმცა ასევე გაანალიზდა მეორადი ინფორმაციის სხვა წყაროები.

1.2.1.2 მიწოდების ანალიზი

სამაგიდე კვლევა და მეორადი მონაცემები

არსებული კვლევები და ანგარიშები

EMIS მონაცემები- რეგიონის საგანმანათლებლო ქსელი; არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები; მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების ანალიზი

პირველადი მონაცემები

მუნიციპალიტეტების გამოკითხვა

- მუნიციპალიტეტში კვალიფიკაციაზე მოთხოვნა უახლოესი 5 წლის განმავლობაში
- არაფორმალური პროფესიული პროგრამები/კურსები
- ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელიც შესაძლებელია პროფესიული სასწავლებლის დასაარსებლად იქნება გამოყენებული

მონაცემების სიზუსტის უზრუნველსაყოფად თითოეულ რეგიონში ჩატარდა კვლევის მიგნებებისა და რეკომენდაციების ვალიდაცია 2020 წლის სექტემბრი-ოქტომბრის პერიოდში; ვალიდაცია ჩატარდა რეგიონების დონეზე და მასში მონაწილეობა მიიღეს: მუნიციპალიტეტის,

საგანმანათლებლო დაწესებულებების, მოსწავლეების, სტუდენტების, დამსაქმებლების NGO, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

1.3. კვლევის შეზღუდვა

კვლევის განხორციელება დაემთხვა COVID-19 აქტიურ ფაზას, რამაც შეზღუდა მუნიციპალიტეტებში ვიზიტი და საკითხების პირისპირ განხილვის შესაძლებლობა. ეპიდვითარებიდან გამომდინარე გამოკითხვა ონ-ლაინ ჩატარდა, რის გამოც ვერ მოხერხდა მონაცემთა სტანდარტიზაციის სრულად უზრუნველყოფა. ანკეტას პასუხები სხვადასხვა თანამდებობების პირებმა გასცეს, მერებმა, მერების მოადგილეებმა, განყოფილებების გამგეებმა, სპეციალისტებმა; აქედან გამომდინარე პასუხების ხარისხი გარკვეულ შემთხვევებში არაერთგვაროვანია.

უნარების მოთხოვნა-მიწოდების ანალიზისას არ იყო ხელმისაწვდომი ინფორმაცია კონკრეტულ სპეციალობაზე რამდენ კადრზე იყო მოთხოვნა რეგიონში, რის გამოც უნარების შეუსაბამობა რაოდენობრივი თვალსაზრისით არ არის დადგენილი.

2. არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა, ახალგაზრდების რაოდენობა და მათი წილი მოსახლეობაში

2.1. მოსახლეობის დინამიკა

დემოგრაფიული მდგომარეობა თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. 2014 წლის მონაცემებმა მიუთითეს მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება, წინა, 2002 წლის აღწერასთან შედარებით; 2014 წელს 15 პროცენტამდე შემცირდა მოსახლეობა და 3,713 804 შეადგინა, მაშინ როდესაც 2002 წელს ის 4,371535 იყო (მოსახლეობის დინამიკა საქართველოში, 2017). ამასთან მოსახლეობის შემცირება რეგიონების მიხედვით არათანაბარი ხასიათისაა. მოსახლეობის ზრდა 2.94% კაცების და 2.13% ქალების აღინიშნება მხოლოდ თბილისში. ყველაზე მეტად მოსახლეობა შემცირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში-35.15% კაცების და 38.73 ქალების, სამეგრელო-ზემო სვანეთში (27.64% კაცები და 30.29% ქალები) და სამცხე-ჯავახეთში (21.79 % კაცები და 23.52% ქალები). მოსახლეობის ყველაზე მცირე კლება აღინიშნება აჭარაში (10.05% კაცები და 12.24% ქალები).

ცხრილი #1. მოსახლეობის დინამიკა (%) რეგიონების მიხედვით 2002 და 2014 წლის აღწერების მიხედვით.

რეგიონი	კაცი	ქალი
თბილისი	2.94	2.13
აჭარა	-10.05	-12.24
გურია	-18.70	-22.90
იმერეთი	-22.09	-25.14
კახეთი	-19.94	-23.43
მცხეთა-მთიანეთი	-21.11	-27.86
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	-35.15	-38.73

სამეგრელო-ზემო სვანეთი	-27.64	-30.29
სამცხე-ჯავახეთი	-21.79	-23.52
ქვემო ქართლი	-13.57	-15.92
შიდა ქართლი	-15.04	-17.14
საქართველო	-14.01	-15.97

წყარო: პაკერტი, რ. (2017). მოსახლეობის დინამიკა საქართველოში, საქსტატი, UNFPA

მოსახლეობის შემცირება აისახება ოჯახის შემადგენლობაზე. ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა საქართველოში 3.34-ია. ის ყველაზე მაღალი აჭარაში და 3.98 შეადგენს, შემდეგ ქვემო ქართლსა (3.68) და სამცხე-ჯავახეთში (3.64), ხოლო ყველაზე მცირეა მცხეთა-მთიანეთში (3.10). საქართველოში ოჯახების 17.5% მხოლოდ ერთი ადამიანისგან შედგება. ამ მხრივაც გამორჩეულია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთი, სადაც ერთსულიანი ოჯახების წილი 32.6%-ია, მას მოსდევს მცხეთა-მთიანეთი 22.8%-ით⁴.

2002 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში აღირიცხა 162 გაუკაცრიელებული სოფელი, 2002-დან 2014-მდე ამას დაემატა 71 სოფელი. ამასთან ტენდენცია აშკარად მზარდია, რადგან დიდია იმ სოფლების რაოდენობაც სადაც 10 მოსახლემდეა.

თუ დღეს 65 გადაცილებულ ადამიანთა რაოდენობა 14.3%-ია, 2030 წელს მოსალოდნელია ამ წილის 18.9%-მდე, ხოლო 2050 წლისათვის 25.3%-მდე გაზრდა. დღესდღეობით საქართველოში ერთ პენსიონერზე 5 სამუშაო ასაკის პირი მოდის და თანაფარდობა 21.3%-ია. გაეროს განვითარების ფონდის პროგნოზით მოსახლეობის დაბერების მიხედვით 2030 წლისათვის ეს თანაფარდობა 29.7%, ხოლო 2050 წლისათვის 42.8% გაუტოლდება, რაც ძალზე გაართულებს ხანდაზმული ადამიანების პენსიებით უზრუნველყოფას⁵.

მოსახლეობის დინამიკას ძირითადად განსაზღვრავს შობადობისა და სიკვდილიანობის დონეები. ქვეყანაში შობადობის დონე დაბალია, მაგრამ ის უმნიშვნელოდ აღემატება სიკვდილიანობის დონეს, შესაბამისად ამ ორი მონაცემის მიხედვით მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო მოსახლეობის მცირეოდენი ზრდა. ამის საწინააღმდეგოდ მოხდა მოსახლეობის შემცირება, რაც განპირობებულია ემიგრაციის მაღალი დონით (მოსახლეობის დინამიკა საქართველოში, 2017). ემიგრაცია ერთის მხრივ ამცირებს მოსახლეობის რაოდენობას და მეორეს მხრივ ფერტილური ასაკის პირების ქვეყნიდან გაღინებით ამცირებს ახალდაბადებულთა შესაძლო რაოდენობას.

ქვეყნის გარეთ მიგრაციის ძირითად მოტივს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. უხეში შეფასებით საქართველოდან მილიონ ნახევარზე მეტი ადამიანია გასული. ბოლო ოთხ წელიწადში აღინიშნება ემიგრანტთა რაოდენობის გაზრდა, რამაც 2018 წელს 76,367-ს მიაღწია (57% კაცი და 43% ქალი). ემიგრანტთა რაოდენობასთან ერთად 4 წელიწადში 32%-ით გაიზარდა ფულადი გზავნილების ოდენობაც და მან მიაღწია 1,428.8-ს რაც 200 მილიონით აღემატება პირდაპირი ინვესტიციების რაოდენობას და შეადგენს მშპ-ს 9.7%⁶. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ამ პროცესს მოკლე-ვადიან პერსპექტივაში დადებითი ეფექტი აქვს, ხოლო

⁴ მოსახლეობის დინამიკა საქართველოში, 2017

⁵ ბრუნე., & ჭითანავა. (2017). მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში: 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა. საქსტატი, UNFPA

⁶ საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი. 2019. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

გრძელვადიან პერსპექტივაში - უარყოფითი. ქვეყნის მოსახლეობის შემცირება საბოლოოდ საფრთხეს უქმნი ქვეყნის განვითარებას.

ქვეყნის გარეთ ემიგრაციასთან ერთად ადგილი აქვს შიდა მიგრაციასაც. მოსახლეობის შემცირების ფონზე თბილისის მოსახლეობის მატება ამის მაჩვენებელი უნდა იყოს. დასაქმების შესაძლებლობები აქაც, როგორც გარე მიგრაციის შემთხვევაში, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის ძირითად მოტივს წარმოადგენს, თუმცა თბილისთან მიმართებაში ასევე მნიშვნელოვანია განათლების მიღება.

ამდენად დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოსთვის პრიორიტეტული ამოცანაა და ქვეყნის გადარჩენა და განვითარება ფაქტობრივად სწორედ მასთან არის დაკავშირებული. ამისთვის კი აუცილებელია მოსახლეობის დამაგრება მათ საცხოვრებელ ადგილებში, რეგიონებში სამუშაო ადგილების შექმნა. ეს კი თავის მხრივ საჭიროებს ადგილებზე კვალიფიკაციური მუშახელის არსებობას.

იმიგრანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში კადრების დეფიციტზე. 2018 წელს ქვეყანაში 7,173 შრომითი მიგრანტი შემოვიდა, აქედან 34% ირანიდან, 18% ჩინეთიდან და 17% თურქეთიდან. მათი 32% მშენებლობაზეა დასაქმებული, 27% კი ვაჭრობაში. ბოლო წლებში გაიზარდა სასწავლებლად ჩამოსული უცხოელების რაოდენობა და 2018 წელს მან 6,051 პირი შეადგინა, აქედან პროფსასწავლებელში სწავლის მსურველი მხოლოდ 20 პირი იყო (საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, 2019). ეს ორი ფაქტი მიუთითებს ქვეყანაში კვალიფიკაციური მუშახელის საჭიროებაზე და ქვეყნის შემოსავალის საგანმანათლებლო ინსტიტუტებში უცხოელთა რაოდენობის გაზრდის გზით. ამ მხრივ პროფესიული სასწავლებლების ხილვადობა და მომხიბლაობა ძალზე მცირეა.

მიგრაციაზე მონაცემების არ არსებობა რეგიონისა და მუნიციპალიტეტების დონეზე მიგრაციის ამ დონეებზე განხილვის საშუალებას არ გვაძლევს.

2.1. მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით⁷

საქართველოს მოსახლეობის განაწილება რეგიონებში არათანაბარია. მოსახლეობის მესამედი თბილისშია კონცენტრირებული. მოსახლეობის ყველაზე დიდი ოდენობა შემდეგ იმერეთშია, ხოლო ყველაზე მცირე რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში

ცხრილი #2 მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	რაოდენობა	ასაკი %		
		0-14	15-64	65+
თბილისი	1,108.717	19.1	68.9	12.0
აჭარა	333.953	19.6	69.4	11.0
გურია	113.350	16.3	64.9	18.8
იმერეთი	533.906	17.4	65.1	17.5

⁷ ამ თავში მოყვანილი მონაცემები ეყრდნობა 2014 წლის საყოველთაო აღწერას და ციტირებულია საიტიდან www.citypopulation.de.georgia

კახეთი	318.583	17.8	64.8	17.4
მცხეთა-მთიანეთი	94.573	17.0	66.1	16.9
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	32.089	12.1	59.6	28.3
სამეგრელო -ზემო სვანეთი	330.761	16.9	66.1	17.0
სამცხე-ჯავახეთი	160.504	19.8	66.3	14.0
ქვემო ქართლი	423.986	21.1	67.7	11.2
შიდა ქართლი	263.382	18.4	66.7	14.9
საქართველო	3,713.804	18.6	67.1	14.3

წყარო: სასტავი

საქართველოს მოსახლეობის 57.2% ქალაქად, ხოლო % 42.8% სოფლად ცხოვრობს. ქალები მოსახლეობის 52 % შეადგენენ, კაცები კი 48 %. 0-14 წლის პირების წილი 18.6%-ია, 15-64 წლის პირების 67.1%, ხოლო 65 და მეტი - 14,3%. ცხრილიდან #3 ჩანს 0-14 წლის პირთა რაოდენობა ჩამორჩება 15-64 წწ ასაკობრივ ჯგუფს.

ცხრილი #3. მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	რაოდენობა	ასაკი %		
		0-14	15-64	65+
თბილისი	1,108 .717	19.1	68.9	12.0
აჭარა	333.953	19.6	69.4	11.0
გურია	113.350	16.3	64.9	18.8
იმერეთი	533.906	17.4	65.1	17.5
კახეთი	318.583	17.8	64.8	17.4
მცხეთა-მთიანეთი	94.573	17.0	66.1	16.9
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	32.089	12.1	59.6	28.3
სამეგრელო -ზემო სვანეთი	330.761	16.9	66.1	17.0
სამცხე-ჯავახეთი	160.504	19.8	66.3	14.0
ქვემო ქართლი	423.986	21.1	67.7	11.2
შიდა ქართლი	263.382	18.4	66.7	14.9
საქართველო	3,713.804	18.6	67.1	14.3

წყარო: საქსტატი

თბილისის შემდეგ ყველაზე ურბანული რეგიონი აჭარაა, სადაც ქალაქის მოსახლეობა 53.3%. ყველა სხვა რეგიონში სოფლის მოსახლეობა ქალაქისას აჭარბებს. სოფლად მოსახლეობის ყველაზე მაღალი კონცენტრაცია აღინიშნება რაჭა ლეჩხუმო- ქვემო სვანეთში, კახეთსა და მცხეთა მთიანეთში.

ცხრილი #4. ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	სოფლად %	ქალაქად %
თბილისი	2.8	97.2

აჭარა	44.7	53.3
გურია	71.9	28.1
იმერეთი	51.6	48.4
კახეთი	77.5	22.5
მცხეთა-მთიანეთი	77.5	22.5
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	78.3	21.7
სამეგრელო -ზემო სვანეთი	60.9	39.1
სამცხე-ჯავახეთი	65.9	34.1
ქვემო ქართლი	57.5	42.5
შიდა ქართლი	60.1	39.9
საქართველო	42.8	57.2

0-14 წლის პირები 18.6%, 15-64 67.1%, ხოლო 65 და ზევით 14,3%. ცხრილიდან #5 ჩანს რომ, 0-14 წლის პირთა ყველაზე მაღალი წილი (21.1%) ქვემო ქართლშია, ხოლო ყველაზე დაბალი (12.1%) რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ასევე ყველაზე დაბალია (59.6%) 15-64 წლის პირთა წილი და შესაბამისად ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე, 14.3% ბევრად უფრო მაღალი, (28.3%) ხანდაზმულთა წილი მოსახლეობაში. 65 წელს ზემოთ მყოფ პირთა ყველაზე მცირე წილი ქვემო ქართლშია და ის 11.2%-ს შეადგენს.

ცხრილი #5. მოსახლეობის განაწილება რეგიონებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

რეგიონი	რაოდენობა	ასაკი %		
		0-14	15-64	65+
თბილისი	1,108 .717	19.1	68.9	12.0
აჭარა	333.953	19.6	69.4	11.0
გურია	113.350	16.3	64.9	18.8
იმერეთი	533.906	17.4	65.1	17.5
კახეთი	318.583	17.8	64.8	17.4
მცხეთა-მთიანეთი	94.573	17.0	66.1	16.9
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	32.089	12.1	59.6	28.3
სამეგრელო -ზემო სვანეთი	330.761	16.9	66.1	17.0
სამცხე-ჯავახეთი	160.504	19.8	66.3	14.0
ქვემო ქართლი	423.986	21.1	67.7	11.2
შიდა ქართლი	263.382	18.4	66.7	14.9
საქართველო	3,713.804	18.6	67.1	14.3

წყარო: საქსტატი

3. ქვეყნის სოციალური მდგომარეობა

ამ თავში ძირითადი ფოკუსია სიღარიბეზე, უთანასწორობასა და იძულებით გადაადგილებულ პირებზე; ხოლო მოწყვლადი ჯგუფები პროფესიულ განათლებასთან მიმართებაშია განხილული და

3.1. სიღარიბე და მოწყვლადი ჯგუფები

მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელთან შედარებით სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება, სიღარიბე ქვეყნის ძირითად სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. საქსტატის მონაცემების მიხედვით 2019 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა მოსახლეობის 19.5% იმყოფებოდა (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი), ხოლო ფარდობითი სიღარიბე (მედიანური მოხმარების 60%-ზე ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი) 20.1%-ია (საქსტატი, 2020). სიღარიბე უფრო მეტად არის გავრცელებული სოფლადაა (23.7%) ვიდრე ქალაქად (16.4%). გლობალური შიმშილის ინდექსის მიხედვით საქართველო 177 ქვეყნას შორის 39 ადგილზეა და შიმშილის დაბალი დონით ხასიათდება.

ბოლო წლებში ასევე სტაბილურად მაღალია სოციალური უთანასწორობის დონე ჯინის კოეფიციენტის მიხედვით (0.4 -2017 წელი და 0.37 2020). ეს მაჩვენებელი აღემატება როგორც სამხრეთ კავკასიაში საქართველოს მეზობლების, ისე საშუალო ევროპულ მაჩვენებლებს⁸. უთანასწორობა იმაშიც გამოიხატება, რომ საქართველოში საკმაოდ დიდია ხელფასებს შორის განსხვავება. დაბალანაზღაურებადი დასაქმებულები საშუალო ხელფასის დაახლოებით 1/3-ს გამოიმუშავენ. დაბალანაზღაურებადი დასაქმებულები ხშირად ღარიბებიც არიან⁹.

საქართველოში არსებული სოციალური დახმარების სისტემა სიღარიბის სანდო მაჩვენებელს წარმოადგენს. მის მისაღებად მოქალაქეებს შეაქვთ განაცხადი და შემდეგ შრომისა და ჯანმრთელობის სამინისტროს თანამშრომელთა მიერ მათი ეკონომიური მდგომარეობის შეფასების შედეგად ხდება მათი რეგისტრაცია. დღესდღეობით საქართველოში 493,088 პირი, ანუ მოსახლეობის 13.2% რეგისტრირებული.

ცხრილი #1. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	რაოდენობა	რეგიონის მოსახლეობის %
თბილისი	104,143	9.3
აჭარა	48,151	14.3
გურია	20,890	18.5
იმერეთი	64,554	12.1
კახეთი	50,699	15.9
მცხეთა-მთიანეთი	15,211	16.1
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	13,456	42.3
სამეგრელო -ზემო სვანეთი	62,510	18.9
სამცხე-ჯავახეთი	12,655	7.9
ქვემო ქართლი	54,325	12.8
შიდა ქართლი	46,694	8.2
საქართველო	493,088	13.2

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

სახელმწიფო შემწეობის მიმღებთა ყველაზე დიდი წილი (42.3%) მოდის რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონზე, მის შემდეგ ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია სამეგრელო-ზემო

⁸ სომხეთში ჯინის კოეფიციენტი 0.32%-ია, აზერბაიჯანში - 0.34, ხოლო საშუალო ევროპული მაჩვენებელი 0.31%-ს უტოლდება IMF Fiscal Monitor: Tackling Inequality, 2017

⁹ World bank (2013). *Georgia Skills Mismatch and Unemployment Labor Market Challenges*

სვანეთსა (18.9%) და გურიაში (18.55). ყველაზე კარგი მდგომარეობა აღინიშნება სამცხე-ჯავახეთში (7.9%), შიდა ქართლსა (8.2%) და თბილისში (9.3%).

3.2. იძულებით გადაადგილებული პირები

იძულებით გადაადგილებული პირების სიმრავლე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკასა და სიღარიბის დონეზე. ორი ეთნიკური კონფლიქტის შედეგად საქართველოში 255,362 (53% ქალი და 43% კაცი) დევნილი პირია აფხაზეთიდან და 26,459 (50% ქალი და 50% კაცი) ცხინვალიდან. აფხაზეთიდან დევნილთა 29%-ის და ცხინვალიდან დევნილთა 27%-ის ასაკი 18 წლამდეა. აფხაზეთიდან დევნილთა უმეტესობა სამეგრელოსა და თბილისში ცხოვრობს, ხოლო ცხინვალიდან დევნილთა უმეტესობა მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში. ცხინვალიდან დევნილთა უმეტესობა კომპაქტურად არის დასახლებული.

ცხრილი #2. იძულებით გადაადგილებულ პირთა განაწილება რეგიონებში

რეგიონი	რაოდენობა	%
აჭარა	3,500	1
გურია	1,330	1.2
იმერეთი	18,600	3.5
კახეთი	1,638	0.5
მცხეთა-მთიანეთი	9,570	10.1
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	730	0.2
სამეგრელო -ზემო სვანეთი	46,440	14
სამცხე-ჯავახეთი	1,240	0.4
ქვემო ქართლი	11,200	0.3
შიდა ქართლი	1,360	5.2

წყარო: საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, 2019

ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარე თბილისი, სამეგრელო, ქვემო და შიდა ქართლიდან ასევე მცხეთა-მთიანეთი გამოირჩევა იძულებით გადაადგილებულ პირთა მაღალი კონცენტრაციით.

4. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მთლიანი შიდა პროდუქტი

საქართველოში, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში, გარდამავალი პროცესი დაახლოებით 20 წლის წინ დაიწყო, რამაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები გამოიწვია. საქართველო დაბალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაა და მისი ეკონომიკა 2003 წლიდან სტაბილურად იზრდება და უმჯობესდება ბიზნესის მაჩვენებლები. 2018 წელს საქართველო ბიზნესის¹⁰ წარმოების სიმარტივით მე -6 ადგილზე იყო 190 ქვეყანას შორის.

¹⁰ მსოფლიო ბანკის ჯგუფი, ბიზნესის წარმოება 2018.

თუმცა, შრომის ბაზრის ძირითადი ინდიკატორები ჯერ კიდევ დაბალია მთავრობის მიზნებთან შედარებით, როგორც ეს განსაზღვრულია 2014-2020 წლების განვითარების სტრატეგიაში¹¹.


ცხრილი #1. საქართველოს ძირითადი მაჩვენებლები

პარამეტრი		წელი
მოსახლეობის რაოდენობა (მილიონი)	3 716.9	2020
ზრდის ტემპი	-0.07	2019
ახალგაზრდობა	11.6	2018
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	4 763.5	2020
მშპ-ს რეალური ზრდის ტემპი	5.1 2.2. -12.3	2019 2020 – I კვ 2020 – II კვ
ინფლაცია (%)	6.4	2020 – თებ
ჯინის კოეფიციენტი	0.37	2019
HDI რანგი 2017 წელს	70	2020
აბსოლუტური სიღარიბე	19.5	2019
უმუშევრობის მაჩვენებელი	11.6	2019
აქტივობის მაჩვენებელი	62.9	2019
დასაქმების მაჩვენებელი	57.7	2019

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია გლობალურმა რეცესიამ 2008-2009 წლებში, რუსეთთან კონფლიქტმა და 2014 წელს რეგიონული შენელების პერიოდმა. თუმცა, საქართველოში მდგომარეობა გაუმჯობესდა და ბოლო წლებში საშუალოდ 5%-იანი ეკონომიკურ ზრდას მიაღწია; 2019 წელს ეკონომიკა 5.1 პროცენტით გაიზარდა (საქსტატი, 2019). 2019 წლის თებერვალში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, უძრავი ქონების, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სექტორებში. თუმცა COVID_19-ის გავლენით ეს ტემპი მკვეთრად შემცირდა (2.2% და -12.3% 2020 წლის I და II კვარტალში).

¹¹ საქართველო 2020

ნახ #1. მშპ სტრუქტურა, 2019



საქართველოს ეკონომიკაში დომინირებს მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც შეადგენენ საწარმოთა 94% -ს. მცირე და საშუალო ბიზნესის უმეტესობა კონცენტრირებულია დაბალი ღირებულების საქმიანობაზე. მცირე და საშუალო ბიზნესის მხოლოდ 10% მუშაობს წარმოებაზე.

4.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში.

საქართველოში 2019 წელს 1.31 მლრდ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც 0.3%-ით მეტია, ვიდრე 2018 წლის ინვესტიციები. ბოლო ათ წელიწადში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა საქართველოში გაიზარდა 1.5-ჯერ. ინვესტიციების ყველაზე ინტენსიური შემოდინება საქართველოში შეინიშნებოდა 2014 და 2017 წლებში, როდესაც მათ რაოდენობამ თითქმის 2 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია (1 836 980 და 1 978 282 ათასი აშშ დოლარი შესაბამისად).

უცხოური ინვესტიციების შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ინვესტიციების წლიური ოდენობა საქართველოში მაღალი ცვალებადობით გამოირჩევა. განსაკუთრებით მერყეობს ის რეგიონულ ჭრილში: თითქმის ყველა რეგიონში ინვესტიციების ოდენობა წლიდან წლამდე მკვეთრად იცვლება და ის ხან იზრდება ხან კლებულობს, რაც ართულებს ცალსახა დასკვნის გამოტანას ბოლო ათწლიან პერიოდში რეგიონში შექმნილი საინვესტიციო კლიმატის შესახებ. ამის გამო ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენ გავიანგარიშეთ ინვესტიციების საშუალო წლიური ოდენობა ორი 5-წლიანი პერიოდის მიხედვით, 2010-2014 და 2015-2019 წლებში და ასე განვსაზღვრეთ ინვესტიციების ტენდენცია ცალკეულ რეგიონში. ეს გვაძლევს საშუალებას უფრო დრამატიულად შევისწავლოთ აღნიშნული საკითხი და გამოვიტანოთ რელევანტური დასკვნები. აღნიშნული გაანგარიშების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 1, სადაც ასევე მოყვანილია ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ 2019 წლისათვის.

ცხრილი # 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს რეგიონებში

	ინვესტიციები- ათასი აშშ დოლარში			ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (აშშ დოლარში) - 2019 წელი
	2010-2014	2015-2019	2019	
საქართველო	1 184 798.0	1 595 336.1	1 310 773.7	352.7
თბილისი	851 881.6	1 255 213.1	912 232.3	769.9
აჭარა	95 842.8	160 676.9	198 094.6	562.9
კახეთი	8 267.5	4 996.6	199.7	0.6
სამცხე-ჯავახეთი	37 537.2	39 380.6	50 734.2	333.5
ქვემო ქართლი	65 709.2	49 892.2	48 082.6	110.7
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	64 291.8	35 670.1	46 115.7	110.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	...	31 006.9 *	44 462.7	142.9
გურია	...	898.2 *	1 653.0	15.3
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	42 510.2	37 566.4	46 211.5	89.5
იმერეთი	...	38 589.7 *	44 466.9	91.3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	...	1 942.8 *	1 744.6	60.0
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	18 757.7	11 940.1	9 103.2	26.1
შიდა ქართლი	...	5 528.2 *	1 243.0	4.9
მცხეთა-მთიანეთი	...	11 510.9 *	7 860.2	84.2

წყარო: საქსტატის ოფიციალური მონაცემები¹² და ავტორის გაანგარიშებები

შენიშვნა: *-ით აღნიშნული მონაცემები შეესაბამება 4-წლიანი პერიოდის (2016-2019) საშუალო მაჩვენებელს, რადგან ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები აღნიშნულ რეგიონებზე ხელმისაწვდომია მხოლოდ 2016 წლიდან

ბოლო 10 წელიწადში ინვესტიციების შემოდინება საქართველოში დადებითი ტენდენციით გამოირჩევა: ბოლო 5 წელიწადში წინა პერიოდთან შედარებით შესაბამისი მაჩვენებლები გაიზარდა 35%-ით. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, 2014 და 2017 წლებში ინვესტიციების ოდენობა საქართველოში უფრო მაღალ ნიშნულზე იყო, ვიდრე 2019 წელს - თითქმის 2 მილიარდი აშშ დოლარი, მაგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანია, ის ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას; მისი ოდენობა ბოლო ორი წლის განმავლობაში 1.3 მლრდ აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს.

რაც შეეხება საქართველოს რეგიონებს, ზრდის ტენდენციის ყველაზე მაღალი მდგრადობით გამოირჩევა აჭარა, სადაც ინვესტიციების მოცულობა 2019 წელს თითქმის იგივე ნიშნულზე იყო, რაც 2017 წელს (თითქმის 200 მლნ აშშ დოლარი), როცა საქართველოში ინვესტიციების უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, ხოლო ბოლო 10 წლის ორი 5-წლიანი პერიოდი რომ შევადაროთ ერთმანეთს, აჭარაში ინვესტიციების ოდენობა 1.7-ჯერ

¹² <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

გაიზარდა. გაიზარდა ის თბილისშიც- 1.5-ჯერ, მაგრამ დედაქალაქში ის შემდგომ მკვეთრად დაეცა - 40%-ით 2019 წელს 2017 წელთან შედარებით.

ინვესტიციების მდგრადი დადებითი ტენდენციის თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, სადაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ინვესტიციები ყოველწლიურად იზრდება, შედარებით ნელი ტემპით, მაგრამ სტაბილურად; 2015-2019 წლებში წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით მათი ოდენობა გაიზარდა 5%-ით. რაც შეეხება საქართველოს სხვა რეგიონებს, როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, იქ ბოლო 10 წლის განმავლობაში ფიქსირდება ინვესტიციების კლება, თუმცა ის ფაქტი, რომ 2019 წელს მოზიდული ინვესტიციების ოდენობა აღემატებოდა ბოლო 5 წლის პერიოდის საშუალო მაჩვენებელს (განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გურიაში და სამეგრელოში-ზემო სვანეთში) გვაძლევს იმედს, რომ აღნიშნული რეგიონები ახლო მომავალში მოახერხებენ უარყოფითი ტენდენციის გარდატეხვას და იმ რეგიონთა სიაში აღმოჩნდებიან, სადაც უცხოელი ინვესტორები ხედავენ ბიზნესის განვითარების პოტენციალს.

საქართველოს რეგიონები განსხვავდება ერთმანეთისგან მათში მცხოვრები მოსახლეობის სიდიდით და შესაბამისად, მათი პირდაპირი შედარება ინვესტიციების ოდენობის მიხედვით არ არის გამართლებული. რეგიონული უთანასწორობის სრულფასოვანი ანალიზისთვის ჩვენ გავიანგარიშეთ ინვესტიციების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე (იხილეთ ცხრილი 1). თბილისი წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების უმსხვილეს მიზიდულობის ცენტრს: 2019 წელს დედაქალაქზე მოდიოდა მთელი ინვესტიციების 70%-ი (912.2 მლნ დოლარი), თუმცა, იყო წლები (2015 და 2016), როდესაც თბილისში მიემართებოდა ინვესტიციების უფრო დიდი წილიც (80% და 86%). აღნიშნულ რეიტინგში მეორე ადგილს სტაბილურად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა იკავებს: 2019 წელს ინვესტიციების ოდენობამ აჭარაში 198 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. ამაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციები აჭარაში დაფიქსირდა მხოლოდ ერთხელ, 2017 წელს - 211 მლნ, თუმცა ეს თანხა შეადგენდა ჯამური ინვესტიციების 10.7%-ს მაშინ, როდესაც 2019 წელს აჭარამ მიიზიდა ინვესტიციების რეკორდულად მაღალი წილი - 15.1%. აღნიშნულ რეიტინგში მათ მოყვებიან სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და ქვემო ქართლი; ყველა დანარჩენი საქართველოს რეგიონი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ "ბრწყინვალე" ხუთეულს. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ 10 წლის წინაც, 2010 წელს, "იღბლიანი" რეგიონების სია იგივე იყო, სამეგრელოს გამოკლებით, თუმცა ცალკე ამ რეგიონზე ჩვენ არც გვქონდა შესაბამისი ინფორმაცია 2016 წლამდე. საქართველოს დანარჩენი რეგიონები ინაწილებენ უცხოური ინვესტიციების 3-დან 4 %-მდე თითოეული, პატარა რეგიონების- გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის გარდა, სადაც 2019 წელს მიედინებოდა ინვესტიციების მხოლოდ 0.1%.

შიდა ქართლის რეგიონი მოწყვლადია ინვესტიციების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით: 2019 წელს იქ იყო მიმართული ჯამური ინვესტიციების მხოლოდ 0.1% მაშინ, როდესაც მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონს ერგო მთლიანი ინვესტიციების 0.6%. 2018 წელს შიდა ქართლს შეხვდა ინვესტიციების უფრო დიდი წილი (1.2%), თუმცა მცხეთა-მთიანეთის შესაბამისი მაჩვენებელიც 2018-ში უფრო მაღალი იყო - 2.6%. ინვესტიციების მიმზიდველობის თვალსაზრისით ტრადიციულად ყველაზე მეტად მოწყვლად რეგიონს წარმოადგენს კახეთი: 2019 წელს მას ერგო ინვესტიციების მხოლოდ 0.02% და ბოლო ათი წლის განმავლობაში ინვესტიციების ყველაზე მნიშვნელოვანი წილი კახეთში დაფიქსირდა 2012 წელს, რომელიც არ აღემატებოდა 1.6%-ს.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელ ძირითად ქვეყნებს შორის არიან დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, აშშ და ნიდერლანდები. დსთ-ში ინვესტორ ქვეყნებს შორის შეიძლება გამოვარჩიოთ აზერბაიჯანი და რუსეთი, თუმცა 2019 წლის ბოლოდან

აზერბაიჯანი რეალურად წყვეტს ინვესტირებას საქართველოში. სამაგიეროდ, იზრდება საქართველოში ინვესტირების ინტერესი უკრაინის მხრიდან: 2019 წელს მან ყველაზე დიდი ინვესტიციები განახორციელა ბოლო 6 წელიწადში. ჩინეთმა, რომელიც 5 წლის წინ საქართველოს მთავარ ინვესტორთა სამეულში შედიოდა, მნიშვნელოვნად შეამცირა ინვესტიციები ჩვენს ქვეყანაში, თუმცა კვლავ ახორციელებს მათ უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე, მაგალითად, არაბთა ემირატები, რომელიც 2017 წელს ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორი იყო საქართველოსათვის. 2019 წელს 2018 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზარდეს ინვესტიციები ჩვენმა საიმედო პარტნიორებმა- თურქეთმა (3.5-ჯერ), და გაერთიანებულმა სამეფომ (1.3-ჯერ); ასევე გაიზარდა (8%-ით) ინვესტიციების შემოდინება აშშ-დან. ირლანდიამ 2019 წლის 1 კვარტალში შემოიტანა საქართველოში 133.5 მილიონიანი ინვესტიცია, მაგრამ მას, როგორც ჩანს, ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა.

ცნობილია, რომ ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყანაში სამუშაო ადგილების ზრდას. ინვესტიციების განხორციელებას ისეთ სექტორებში, რომლებიც დიდი რაოდენობით სამუშაო ძალას მოითხოვენ, და ასეთია მრეწველობა, სამშენებლო და სატრანსპორტო სექტორები, სასტუმროები და რესტორნები, უდიდესი წვლილი შეაქვთ საქართველოში ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. ინვესტიციებს ფინანსურ სექტორში, სატელეკომუნიკაციო თუ უძრავ ქონებაში, ამ თვალსაზრისით დიდი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ. ინვესტიციების გაზრდის მიზნით, საქართველოში ოთხი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ჩამოყალიბდა: ფოთში, ქუთაისში (2 თავისუფალი ზონა) და თბილისში. თავისუფალი ზონები როგორც ქართველ, ისე უცხოელ ინვესტორებს მნიშვნელოვან ინიციატივებს სთავაზობენ, რათა წაახალისონ აღნიშნულ ზონებში ახალი საწარმოების დაარსება და შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები, დაინტერესებული მეწარმეებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემა გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებებით და სხვა.

ბოლო 10-წლიანი პერიოდი (2010-2019) რომ განვიხილოთ, საქართველოს ეკონომიკის ხუთი სექტორი- ტრანსპორტი, საფინანსო სექტორი, ენერგეტიკა, დამამუშავებელი მრეწველობა და მშენებლობა, წარმოადგენს უცხოელ ინვესტორებისათვის ყველაზე მიმზიდველ ეკონომიკურ სფეროს. თუმცა, ინვესტორთა პრიორიტეტები იცვლება: თუ 2010-იან წლების პირველ ნახევარში ყველაზე დიდი ინვესტიციები მიედინებოდა ტრანსპორტის სექტორში, დამამუშავებელ მრეწველობაში და ენერგეტიკაში, 2015 წლიდან საფინანსო სექტორმა გადაასწრო მიმზიდველობის თვალსაზრისით დამამუშავებელი მრეწველობის სექტორს. საქართველოში ბოლო პერიოდში გამოჩნდა ინტერესების ახალი ეკონომიკური სფეროებიც: ბოლო 5 წელიწადში ინვესტორებმა ჩადეს სასტუმროების და რესტორნების ბიზნესში 2.5-ჯერ მეტი ფინანსური რესურსი, ვიდრე წინა პერიოდში. ამავე დროს, აღნიშნულ პერიოდში დაიკლო უცხოელ ინვესტორთა ინტერესმა უძრავი ქონებისადმი: ამ სექტორზე მიმართული ინვესტიციები შემცირდა ჯამური ინვესტიციების 10%-დან 6%-მდე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამთო მოპოვებითი მრეწველობაც სტაბილურად იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს, თუმცა მცირე რაოდენობით - ჯამური ინვესტიციების არა უმეტეს 4%-სა საშუალოდ. მაგრამ, სამწუხაროდ არანაირად არ იცვლება საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა უცხოელი ინვესტორებისათვის მიზიდულობის თვალსაზრისით: ბოლო 10 წელიწადში ყველაზე მნიშვნელოვანი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია სოფლის მეურნეობაში განხორციელდა 2015 წელს და ის არ აღემატებოდა 18.5 მლნ აშშ დოლარს.

ინვესტიციების ანალიზი მუნიციპალიტეტების დონეზე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ აქვეყნებს მონაცემებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ მუნიციპალიტეტების დონეზე. ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ ზემოთმოყვანილ ანალიზში, ეყრდნობა საქსტატის მიერ წარმოებულ სტატისტიკურ გამოკვლევას საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, რომლის შერჩევის მოცულობისა და დიზაინი არ იძლევა შედეგების განზოგადების შესაძლებლობას მუნიციპალურ დონეზე.

ამის გათვალისწინებით, ჩვენი პროექტის ფარგლებში, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს ეთხოვა ჩვენთვის წარმოედგინათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ხორციელდება ამჟამად მათ მუნიციპალიტეტში და ასევე, რა მნიშვნელოვანი ინვესტიციებს ელოდებიან ისინი უახლოესი 3 წლის განმავლობაში.

ინფორმაცია, რომელიც ჩვენ მივიღეთ მუნიციპალიტეტებისგან, ძალზე საინტერესოა ანალიზისთვის, მაგრამ ის ხშირად არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ, თუ რა წარმოადგენს განხორციელებული ინვესტიციების წყაროს: არის თუ არა ის უცხოეთიდან განხორციელებული ინვესტიცია თუ ადგილობრივი, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტი, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი საგრანტო პროგრამა. ამრიგად, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაცია ცალსახად არ არის შესადარისი ზემოთმოყვანილ მონაცემებთან, რომლებიც ეფუძნება ოფიციალურ სტატისტიკას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაცია სანდოობის თვალსაზრისით შესაძლებელია რიგ შემთხვევაში არ იყოს სრულყოფილი და უტყუარი, მასში არ არის მითითებული დასახელებული პროექტების განხორციელების ვადები და მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში მითითებულია პროექტის ღირებულება. მიუხედავად ამისა, და იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალურ დონეზე ინვესტიციების შესახებ ჩვენთვის არ არის ხელმისაწვდომი არანაირი სხვა უფრო სანდო ინფორმაცია, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული მონაცემების ანალიზი ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო გვეჩვენება საქართველოს მუნიციპალიტეტის პოტენციალის განვითარების შეფასების თვალსაზრისით. ინფორმაცია არსებული და სამომავლო ინვესტიციების შესახებ მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების მიხედვით მოცემულია რეგიონების ანალიზში (იხ. დანართი #1).

ინვესტიციები სჭარბობს შემდეგი მიმართულებით: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინფრასტრუქტურული პროექტები/მშენებლობა, გადამამუშავებელი მრეწველობა და ტრანსპორტი და ლოგისტიკა

ცხრილი #2. არსებული და სამომავლო ინვესტიციები რეგიონების მიხედვით

	არსებული ინვესტიციები	მომავალი ინვესტიციები	რეგიონის განვითარების ძირითადი პერსპექტივები
თბილისი	- საფინანსო სექტორი, ტურიზმი (სასტუმროები და რესტორნები), - სამშენებლო სექტორი - ტრანსპორტი და ლოგისტიკა - ჯანდაცვა და სოციალური სექტორი	- ინფრასტრუქტურის განვითარება/მშენებლობა - საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება - იპოდრომის ტერიტორიის რეკრეაციულ ზონად მოწყობა - მთაწმინდის ფერდობების მცენარეული საფარის რეაბილიტაცია	- ტურიზმი და ტურისტული პოტენციალის გაზრდა; სასტუმროები და რესტორნები - ტრანსპორტი და ლოგისტიკა - ვაჭრობა - ინდუსტრიული სექტორი - სამშენებლო სექტორი - ჯანდაცვის სექტორი - საფინანსო სექტორი
აჭარა	- ინფრასტრუქტურული პროექტები, სამშენებლო სექტორი - ტურიზმი	- ინფრასტრუქტურული პროექტები, სამშენებლო სექტორი - ტურიზმი - სოფლის მეურნეობა	- ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება/მშენებლობა - სატრანსპორტო-ლოგისტიკის სფერო - ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაციასა და ხარისხის გაუმჯობესება - ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა - სოფლის მეურნეობაში მაღალპროდუქტიული, საექსპორტო კულტურების დანერგვა
გურია	- მშენებლობა - ხილის, ჩაისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოები	- ტურიზმს - გადამამუშავებელი მრეწველობა/ წარმოება-გადამამუშავება	- სოფლის მეურნეობა - ტურიზმი, მომსახურების სფერო - ინჟინერია/მშენებლობა
იმერეთი	- სოფლის მეურნეობა - ტურიზმი და - ინფრასტრუქტურულ პროექტები	- სოფლის მეურნეობა - ტურიზმი და - ინფრასტრუქტურულ პროექტები	- სოფლის მეურნეობა - ინფრასტრუქტურული პროექტები და - ტურიზმი
კახეთი	- სოფლის მეურნეობა - ტურიზმი - ინფრასტრუქტურულ პროექტები - გადამამუშავებელი მრეწველობა	- სოფლის მეურნეობა - ტურიზმი და - ინფრასტრუქტურულ პროექტები - გადამამუშავებელი მრეწველობა	- სოფლის მეურნეობა (მემცენარეობა, მეცხოველეობა). - ტურიზმი - ტურიზმის პოტენციალის ათვისება რეკრეაციული, სათავგადასავლო, ეკოტურიზმის, აგრეთვე ტურიზმის განვითარება. - ბალნეოლოგიური კურორტების განვითარება გურჯაანისა (აბტალა) და საგარეჯოს (უჯარმა) მუნიციპალიტეტებში. - ინფრასტრუქტურის განვითარება და ინფრასტრუქტურული პროექტები. - გადამამუშავებელი მრეწველობა
მცხეთა-მთიანეთი	- ტურიზმი, სოფლის მეურნეობის განვითარება - და ინფრასტრუქტურულ პროექტები	- სფერო სოფლის მეურნეობა, - ინფრასტრუქტურული პროექტები - ტურიზმი.	- ტურიზმი და ინფრასტრუქტურულ პროექტები. - საავტომობილო გზისა ან საჰაერო მიმოსვლის მეშვეობით ფშავისა და ხევსურეთის აქტიური ჩართვა ტურისტულ შეთავაზებებში. - სათავგადასავლო ტურიზმი და ალპინიზმი
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	- ინფრასტრუქტურული პროექტები/სამშენებლო სექტორი - ტურიზმი, ტყის წარმოება.	- სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურულ პროექტები - ტურიზმი, ტყის წარმოება.	- სოფლის მეურნეობა - ხე-ტყის მრეწველობას - მშენებლობასა და ტურიზმი
სამეგრელო-ზემო სვანეთი	- სოფლის მეურნეობაზე, - ინფრასტრუქტურული/სამშენებლო - ტურიზმზე	- ინფრასტრუქტურულ პროექტები - ტურიზმი, ალპინიზმი (მესტია) - ფოთის პორტის გაფართოება,	- სოფლის მეურნეობა, - ტურიზმი/ალპინიზმი (სვანეთი) - მშენებლობას

		• ანაკლიის პორტის მშენებლობა • ენგურჰესზე ატრაქციონის მოწყობა • ნავთობის გადამუშავება	• ნავთობპროდუქტების გადამუშავება • პორტის და შესაბამისად ტვირთების გადაზიდვები
სამცხე-ჯავახეთი	• ინფრასტრუქტურული პროექტები, სამშენებლო სექტორი- აბასთუმნის რეაბილიტაცია, ბაკურიანში პარკის რეაბილიტაცია და სასტუმროების, ჰესის, ტრასების მშენებლობა • დასვენებასთან და ტურიზმთან დაკავშირებული აქტივობები	• ინფრასტრუქტურული პროექტები, სამშენებლო სექტორი	• სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა; • ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზის ამოქმედებასთან • აბასთუმნისა და ბაკურიანის შემდგომ განვითარება. • ტურიზმი- ტურისტების ნაკადების გაზრდა • ადიგენი-საირმის და აბასთუმანი-ხულოს გზების რეაბილიტაცია
ქვემო ქართლი	• სოფლის მეურნეობა • ინფრასტრუქტურული • პროექტები/სამშენებლო სექტორი • ტურიზმი	• სოფლის მეურნეობა, პირველადი და მეორადი წარმოება, ტექნოლოგიების დანერგვა • ინფრასტრუქტურული -ტურისტული, სამედიცინო-საგანმანათლებლო, სოფლის მეურნეობის • ტურიზმი • ვაჭრობა	• მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და ტურიზმი • ბოლნისს აქვს წიაღისეულის მოპოვების მაღალი პოტენციალი • რუსთავეს მძიმე და მსუბუქი მრეწველობის განვითარება • სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში პროდუქტების წარმოების ინტენსიფიკაცია, სათბურების, გადამამუშავებელი საწარმოების და სამაცივრო მეურნეობების შექმნა.
შიდა ქართლი	• ინფრასტრუქტურული პროექტები/მშენებლობის სექტორი.	• ინფრასტრუქტურული პროექტები/მშენებლობის სექტორი.	• სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მრეწველობა და ტრანსპორტი.


როგორც ცხრილიდან ჩანს რეგიონის განვითარების პერსპექტივებში სრულად არის ასახული არსებულ და/ან სამომავლო ინვესტიციები და ასევე მოიცავს განსხვავებულ სექტორებსაც.

4.3. შრომის ბაზრის ანალიზი

4.3.1. უმუშევრობა

ქვეყანაში უმუშევრობის დონე კლებულობს და ბოლო 15 წლის განმავლობაში, 2019 წელს ის ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაფიქსირდა - 11.6%. თუმცა, ექსპერტთა აზრით, უმუშევრობის შედარებით დაბალ მაჩვენებელს საქართველოში გარკვეულწილად სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა დიდი რაოდენობა განაპირობებს: სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში თვითდასაქმებულები შეადგენენ 73%-ს. ამავე დროს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების „გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი არ აღემატება შინამეურნეობის მთლიანი ბიუჯეტის 15%-ს¹³, რაც მეტყველებს იმაზე, რომ საოჯახო მეურნეობაში დასაქმებას სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის არ მოაქვს ფულადი შემოსავალი. ზოგადად, უმუშევრობის დონე საქართველოში სოფლად გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქად - 5.5%-ი 17.4%-ის წინააღმდეგ. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სოფლად დასაქმებულთა დიდი წილი თვითდასაქმებულ ფერმერებზე მოდის - მინიმალური შემოსავლებითა და სამუშაო ძალით.

ნახ #1. საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის, დასაქმების და უმუშევრობის მაჩვენებლები, 2003-2019 (%)



წყარო: საესტატი

საქართველოში არსებულ რეგიონულ უთანასწორობას, უმუშევრობის მაჩვენებლებში, ექსპერტები როგორც წესი, მათ ურბანიზაციის დონეს უკავშირებენ: იქ სადაც ნაკლებია ქალაქის მოსახლეობის წილი, უფრო დაბალია უმუშევრობის დონე.

ცხრილი #3. ქალაქის მოსახლეობის წილი და ეკონომიკური სტატუსის მაჩვენებლები საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2019

¹³ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi>

	საქალაქო დასახლებებში მცხოვრებთა წილი, %	უმუშევრობის დონე, %	ეკონომიკური აქტივობის დონე, %	დასაქმების დონე, %
საქართველო	59,0	11.6	62.9	55.7
თბილისი	97.4	17.7	52.5	43.2
აჭარა	57.0	8.8	66.7	60.8
გურია	28.9	2.5	71.1	69.3
იმერეთი	49.4	11.6	66.7	59.0
კახეთი	22.8	4.0	70.1	67.2
მცხეთა-მთიანეთი	23.9	7.9	70.6	65.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	23.3	4.1	74.0	71.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	39.7	9,8	66.7	60,2
სამცხე-ჯავახეთი	35.6	5.5	72.6	68.6
ქვემო ქართლი	43.7	14.6	67.5	57.7
შიდა ქართლი	39.6	11.5	61.9	54.8

წყარო: საქსტატი

როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ურბანიზაციის დონე რეგიონის უმუშევრობის მაჩვენებლის კარგი განმსაზღვრელია: ყველაზე დაბალი უმუშევრობის დონე აღინიშნება იმ რეგიონებში, სადაც ქალაქის მოსახლეობის წილი ორჯერ და მეტჯერ ნაკლებია, ვიდრე სოფლისა. გამონაკლისს ამ თვალსაზრისით წარმოადგენს ორი რეგიონი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და ქვემო ქართლის რეგიონი.

აჭარა, სადაც ქალაქის მოსახლეობის წილი ყველაზე მაღალია (თბილისის შემდეგ), ხასიათდება შედარებით დაბალი უმუშევრობის დონით (8.8%) და ეს მაჩვენებელი 2013 წლიდან დაწყებული ყოველწლიურ კლებას აჩვენებს. ქვემო ქართლში, სადაც მეტია სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, ვიდრე ქალაქად, ფიქსირდება უჩვეულოდ მაღალი უმუშევრობის დონე - 14.6%. ამ რეგიონისათვის დამახასიათებელ უმუშევრობის დონის წლიურ რყევებს რომ ავარიდოთ თავი, მიზანშეწონილია შევადაროთ მისი ბოლო სამი წლის (2017-2019) საშუალო წინა 3-წლიანი პერიოდის (2014-2016) შესაბამის მაჩვენებელთან -14.7%-ი 11.2%-თან. შედეგად, თვალშისაცემია უმუშევრობის ზრდა: ქვეყანაში უმუშევრობის დონის კლების ფონზე ქვემო ქართლის რეგიონში უმუშევრობის მაჩვენებელი აღნიშნულ წლებში გაიზარდა 31%-ით.


საქართველოს ამ რეგიონებს განსხვავებული ეკონომიკური სპეციფიკა ახასიათებს და შესაბამისად, უმუშევრობის უჩვეულო ტენდენციებს განსხვავებული ახსნა გააჩნია. აჭარის ეკონომიკის დიდ წილს ტურიზმი და მშენებლობა ქმნის, დარგები, რომლის განვითარების ძლიერი ტენდენცია შეიმჩნეოდა საქართველოში ბოლო პერიოდში. დასაქმება ამ დარგებში უფრო ადვილად მოსაპოვებელია, რადგან ბევრ პოზიციაზე მუშახელს ნაკლები კვალიფიკაცია მოეთხოვება. რაც შეეხება ქვემო ქართლს, მისი რეგიონული ცენტრი ქ. რუსთავი სიდიდით მეოთხე ქალაქია საქართველოში, უმუშევრობის დონე რუსთავში მაღალია. რუსთავის ინდუსტრიული სპეციფიკის გამო ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ სექტორებში სამრეწველო წარმოება დომინირებს. რუსთავი უფრო ძლიერი ადამიანური კაპიტალით გამოირჩევა სხვა რეგიონულ ცენტრებთან შედარებით, შესაბამისად, მასში მცხოვრებ მოსახლეობას უფრო მაღალი სტანდარტები აქვს დასაქმებასთან მიმართებაში; რუსთავში დასაქმებულთა 82% დაქირავებული მუშაკია. გარდა ამისა, რუსთავის მდებარეობა თბილისის სიახლოვეს, მჭიდრო სატრანსპორტო და ეკონომიკური კავშირები დედაქალაქთან რუსთაველებს იგივე გამოწვევების წინაშე აყენებს დასაქმების თვალსაზრისით, რაც თბილისელებს, რაც თავისთავად აისახება შესაბამის სტატისტიკურ მაჩვენებლებზე.

4.3.2 დასაქმება

დასაქმების დონე საქართველოში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის და გლობალური ფინანსური კრიზისის დასაწყისში დაეცა 50%-მდე, მთელი მომდევნო პერიოდის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და 2015 წელს კვლავ მიაღწია 57.4%-ს (იხ. ნახ #3).

აღნიშნული ტენდენცია განხილულ პერიოდში დამახასიათებელია საქართველოს ყველა რეგიონისათვის იმის განსხვავებით, თუ რამდენად ძლიერი დარტყმა მოახდინეს ზემოთხსენებულმა მოვლენებმა (მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და 2008 წლის ომმა) დასაქმების მაჩვენებლის ნიშნულზე და რა პერიოდი დასჭირდა მის დაბრუნებას თავის ჩვეულ დონეზე. ამის კარგ მაგალითს აჭარა წარმოადგენს, სადაც 2007 წლისათვის დასაქმების მაჩვენებელი დაეცა 33.6%-მდე (59.6%- დან 2003 წელს) და ის უფრო დაბალი იყო, ვიდრე თბილისში (37.2%) - ურბანულ კონგლომერატში, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა დასაქმების არასასწარბილო მაჩვენებლით. სამაგიეროდ, მთელ მომდევნო პოსტ-კრიზისულ პერიოდში აჭარაში დასაქმების მაჩვენებლის სტაბილური ზრდა დაფიქსირდა, რაც რეგიონში ტურიზმისა და მშენებლობის სექტორის სწრაფ განვითარებას უკავშირდება.

ნახ #2 დასაქმების დონე (%-ში) საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, 2003-2019¹⁴



წყარო: საქსტატი

როგორც გრაფიკი #2-დან ჩანს, რეგიონული უთანასწორობა დასაქმებაში, რომელიც საქართველოში თანდათან მცირდება, ისეთი შესამჩნევი არ არის, როგორც უმუშევრობის დონეში. 2019 წლის მონაცემებით დასაქმების ყველაზე მაღალი დონის მქონე რეგიონის (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) მაჩვენებელი აღემატება თბილისისათვის დამახასიათებელ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს 1.6-ჯერ, ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელი გურიაში 7-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ქ. თბილისში.

საქართველოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში დაქირავებით მომუშავეები მხოლოდ ნახევარს შეადგენენ. 2019 წლის მონაცემებით თბილისი ლიდერობს მოცემულ რეიტინგში 84.2%-ით, მეორე ადგილზეა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 53%-ით. ყველა სხვა რეგიონში დაქირავებით დასაქმებულების წილი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. საქართველოში უფრო მეტი თვითდასაქმებული ადამიანია, ვიდრე დაქირავებული მუშაკი. ამ

¹⁴ 2017 წლამდე საქსტატი არ აქვეყნებდა შესაბამის მონაცემებს 3 მცირერიცხოვან რეგიონზე: გურიაზე, სამცხე-ჯავახეთზე და მცხეთა-მთიანეთზე, ხოლო იმერეთის მონაცემები მოიცავდა ასევე რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ტერიტორიას.

მხრივ, გამოირჩევა გურია, კახეთი და სამცხე-ჯავახეთი, სადაც დაქირავებული მუშახელი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 1/3-ს არ აღემატება.

4.3.3 მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობა

საქართველოში დასაქმების დონის კლებას უმუშევრობის შემცირების ფონზე თან ახლავს არააქტიური მოსახლეობის ზრდა: ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობის ორ მესამედზე ნაკლებია ეკონომიკურად აქტიური (62.9%), რაც ევროკავშირის მაჩვენებელს (70%) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. სამუშაო ძალის ძალიან დაბალი მონაწილეობა განსაკუთრებით თვალშისაცემია ქალაქის ტიპის დასახლებებში, სადაც შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ ნახევარზე ცოტა მეტი (56%¹⁵) არის ეკონომიკურად აქტიური. თუმცა, ამ შედარებებში გასათვალისწინებელია, რომ სოფლის მოსახლეობის შედარებით მაღალი ეკონომიკური აქტიურობის დონე (72.2%) გამოწვეულია სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდოლოგიით, რომელიც განიხილავს მიწის მფლობელებს და საოჯახო მეურნეობებში ჩართულ პირებს თვითდასაქმებულად/ ეკონომიკურად აქტიურად. ზუსტად ამით აიხსნება რეგიონების დიფერენციაციაც აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით. ასე მაგალითად, ყველა სასოფლო ტიპის რეგიონი, მათ შორის კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი და მცხეთა-მთიანეთიც, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს ყველაზე ნაკლებად ინდუსტრიულ ტერიტორიებს, ხასიათდებიან შედარებით მაღალი ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებლით (70% და მეტი), მაშინ როდესაც დანარჩენი რეგიონები, სადაც სამრეწველო წარმოებას უკავია გარკვეული ადგილი ეკონომიკურ სექტორებს შორის, უფრო დაბალი ეკონომიკური აქტიურობით ხასიათდებიან.

თბილისი რომ არ მივიღოთ მხედველობაში, სამუშაო ძალის ძალიან დაბალი მონაწილეობა განსაკუთრებით თვალშისაცემია შიდა ქართლის რეგიონში, სადაც შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ 62% არის ეკონომიკურად აქტიური. ამრიგად, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლადაა კონცენტრირებული, სადაც მუშახელის უმეტესობა სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.

ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებელი საქართველოში მკვეთრად განსხვავდება სქესის მიხედვით: მამაკაცებში იგი 18.1 პროცენტული პუნქტით¹⁶ უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში, რაც მიუთითებს შრომით ბაზარზე არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ დასაქმების მაჩვენებლები უფრო ნაკლებად განსხვავდება სქესობრივ ჭრილში (14.3 პ.პ.), ეს მხოლოდ დასაქმების გენდერული უთანასწორობის პრობლემად არ გვესახება, არამედ საქართველოს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ტრადიციული სოციალური სტერეოტიპებითაც აიხსნება. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების გზით, არსებული გენდერული უთანასწორობა, საქართველოს შრომით ბაზარზე თანდათან აღმოიფხვრება.

ზემოთ მოყვანილი რეგიონული ანალიზისგან განსხვავებით, რომელიც ეფუძნება საქსტატის მიერ 1990-იანი წლების ბოლოს დანერგილ შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის¹⁷ ყოველწლიურ მონაცემებს, ინფორმაცია მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსის შესახებ მუნიციპალიტეტების დონეზე მოიპოვება მხოლოდ ბოლო 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით. საინტერესოა, რამდენად ემთხვევა ეს ინფორმაცია შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის შესაბამის მაჩვენებლებს. ცხრილში #4 მოყვანილია მონაცემები

¹⁵ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba>

¹⁶ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba>

¹⁷ 2017 წლიდან - სამუშაო ძალის გამოკვლევა

საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის შესახებ ზემოთაღნიშნულ ორ განსხვავებულ წყაროზე დაყრდნობით.

ცხრილი #4. საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით, 2014

	შინამეურნეობების გამოკვლევით			მოსახლეობის აღწერის მიხედვით		
	უმუშევრობის დონე, %	ეკონომიკური აქტივობის დონე, %	დასაქმების დონე, %	უმუშევრობის დონე, %	ეკონომიკური აქტივობის დონე, %	დასაქმების დონე, %
საქართველო	14,6	65.5	55.9	16.1	63.7	53.4
თბილისი	24.0	54.2	41.2	28.9	56.5	40.2
აჭარა	21.8	67.4	52.7	15.6	63.4	53.5
გურია	...	...	...	8.5	72.9	66.7
იმერეთი	11.5	69.8	61.8	13.9	67.3	58.0
კახეთი	5.9	72.1	67.8	5.8	70.0	65.9
მცხეთა-მთიანეთი	...	...	...	13.5	68.9	59.7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	...	...	...	2.8	80.2	77.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	15.6	68.5	57.8	11.3	65.7	58.3
სამცხე-ჯავახეთი	6.2	74.7	70.1	6.8	69.0	64.3
ქვემო ქართლი	11.2	67.6	60.0	12.1	63.1	55.5
შიდა ქართლი	10.3	71.9	64.5	13.9	65.8	56.7

როგორც ცხრილიდან ჩანს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, წარმოდგენილი მაჩვენებლები მეტწილად თანხვედრაშია ერთმანეთთან. მონაცემების შედარებისას გასათვალისწინებელია, რომ შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის შედეგები იმერეთის რეგიონზე მოიცავს ასევე რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ტერიტორიებს, ხოლო სამცხე-ჯავახეთზე- გურიის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს, რადგან შერჩევის მოცულობა 2017 წლამდე არ იძლეოდა მცირერიცხოვანი რეგიონების ცალკე გამოყოფის საშუალებას. თუმცა, საკმაოდ განსხვავდება მოსახლეობის აღწერის და შინამეურნეობების გამოკვლევის საფუძველზე გაანგარიშებული უმუშევრობის მაჩვენებელი აჭარაზე და სამეგრელო-ზემო სვანეთზე. მაგრამ, თუ შევადარებთ აღწერის მონაცემებს შინამეურნეობის გამოკვლევის მომდევნო, 2015 წლის¹⁸ შედეგებს (19.4% და 18% შესაბამისად), სხვაობა არც ისე დიდია.

ძნელია ცალსახა დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, თუ სტატისტიკური ინფორმაციის რომელი წყარო მეტი სანდოობით გამოირჩევა: საყოველთაო აღწერის მონაცემები თუ შერჩევითი გამოკვლევის განზოგადებული შედეგები. სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ორივე

¹⁸ 2014 წლის მოსახლეობის აღწერა ჩატარდა ნოემბრის თვეში, ასე რომ ესეც გამართლებულია

მეთოდს თავისი სუსტი მხარეები აქვს. მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საქართველოში მცხოვრებ ყველა ოჯახს მოიცავს, მაგრამ ინფორმაციას ოჯახის ყველა წევრზე აღმწერს აწვდის ოჯახის ერთ-ერთი წევრი, რომელიც შეიძლება არ იყოს ზუსტად გათვითცნობიერებული მისი ყველა ოჯახის წევრის ეკონომიკური საქმიანობის დეტალებში. ამავე დროს, შერჩევითი გამოკვლევაც, რომელიც 2017 წლამდე ეფუძნებოდა სულ 3000 შინამეურნეობების შერჩევითი გამოკვლევას, ასევე იძლევა გარკვეულ ცდომილებას მიღებული შედეგების განზოგადებისას, განსაკუთრებით მათი ჩამლის შემთხვევაში ცალკეული ტერიტორიების მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არ მოიძებნება უფრო სარწმუნო წყარო მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსის განსასაზღვრავად, ჩვენ შესაძარისად მივიჩნიეთ ორივე მეთოდით მიღებულ სტატისტიკურ ინფორმაციას რეგიონების მიხედვით. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებს მუნიციპალურ დონეზე მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსის განსასაზღვრავად.

5 საქართველოს შრომის ბაზარზე უნარების მოთხოვნის ანალიზი

ინფორმაციის არ არსებობა საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტთა მწვავე კრიტიკის საგანი იყო. ამ მიმართულებით პრობლემის მოგვარების "პიონერად" შეიძლება დასახელდეს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს რეგიონალური ოფისი. მან 2007-2010 წლებში ჩაატარა შრომის ბაზრის რამდენიმე კვლევა მთელი საქართველოს მასშტაბით, რომელიც მოიცავდა ასევე სამუშაო ძალის მოთხოვნის საკითხების შესწავლასაც. ბოლო და ყველაზე მასშტაბური კვლევა (სხვადასხვა ეკონომიკურ სფეროში მომუშავე 4500-მდე საწარმო/ორგანიზაციასთან, ინდუმწარმეების და ფერმერების ჩათვლით) ჩატარდა 2010 წელს. აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად უმუშევართა დიდი რაოდენობისა, საქართველოში მოქმედ ბიზნეს-სუბიექტებს უჭირთ კვალიფიციური მუშახელის მოძიება გარკვეულ სამუშაო ადგილებზე. მეწარმეებს განსაკუთრებით უჭირთ კვალიფიციური სპეციალისტების მოძიება სოფლის მეურნეობის დარგში: უამრავი პროფესია, დაწყებული აგრონომიით და დამთავრებული ვეტერინარიით, დასახელდა მეტად მოთხოვნად პროფესიებად. რაც შეეხება სხვა ეკონომიკურ სფეროებს, იქ ყველაზე მოთხოვნად პროფესიებად იმ დროს დასახელდა: მცხოვრები, ბუღალტერი, შემდუღებელი და ელექტრიკოსი¹⁹.

ეროვნული მასშტაბის შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა²⁰ 2015 წლამდე. 2015 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ (რომლის კომპეტენციაში იყო იმ დროს შრომის ბაზრის მართვის საკითხები) ჩაატარა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, რომელმაც პირველად მოგვცა დეტალური ინფორმაცია საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნილი პროფესიების შესახებ, როგორც ზოგადად ქვეყნის და ცალკეული რეგიონების მასშტაბით, ასევე ეკონომიკური სექტორების მიხედვით.

2017 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციად განისაზღვრა შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევა და ანალიზი. შესაბამისად, 2017 წელს შრომის ბაზრის მოთხოვნის ტენდენციების შესასწავლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ჩაატარა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“, რასაც 2018-2019 წლებში მოჰყვა სექტორულ ჭრილში შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის

¹⁹ The US Agency for International Development (USAID) and International Organization for Migration (IOM), Labor Market in Georgia. Report on June-July 2010 Survey, Tbilisi, 2010, გვ. 37

²⁰ რამდენიმე კვლევა ჩატარდა მოგვიანებითაც, 2011-2012 წწ., მაგრამ მხოლოდ ცალკეულ რეგიონებზე - აჭარაზე, ქ. ფოთზე და ა.შ. და შესაბამისად მათი შედეგების გავრცელება მთელ საქართველოზე არ არის მიზანშეწონილი

კვლევები სექტორულ ჭრილში, კერძოდ, ჩატარდა „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“ და „სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“.

2020 წელს სამინისტრომ ჩატარა კიდევ ერთი კვლევა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის შესახებ“, რომელშიც 2017 წელს ჩატარებული კვლევისგან განსხვავებით, უფრო დეტალურად არის შესწავლილი საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული დასაქმების შესაძლებლობები პროფესიული ჯგუფების და ცალკეული სპეციალობების მიხედვით. ამრიგად, დღეისათვის ბოლო მონაცემები საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ ასახულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS) მიერ 2020 წელს მომზადებულ ანგარიშში "უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა"²¹. ძირითადად ამ კვლევაზე დაყრდნობით ჩვენ წარმოვადგენთ ქვემოთ მოცემულ დასკვნებს საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნის თაობაზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში არსებობს სამუშაო ძალის მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის კიდევ ორი წყარო. პირველია კერძო დასაქმების სააგენტოს ვებ-გვერდზე HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები, და მეორეა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტ პლატფორმა (worknet.gov.ge), რომლის მართვას ამჟამად უძღვება სოციალური მომსახურების სააგენტო. სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი ვებ-გვერდზე დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა პროფილს უდარებს სააგენტოში შემოსულ ინფორმაციას არსებულ ვაკანსიების შესახებ და ინფორმაციის თანხვედრის შემთხვევაში აკავშირებს ერთმანეთთან დამსაქმებლებს და სამუშაოს მაძიებლებს.

2018 წელს აღნიშნული შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet-ზე) დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რიცხვმა 230 000 მიაღწია. 2018 წელს 782 დამსაქმებელმა 8,932 ვაკანსია მიაწოდა სოციალური მომსახურების სააგენტოს, რაც 56%-ით მეტია წინა წელთან შედარებით²². აღსანიშნავია, რომ სააგენტოში შემოსული ვაკანსიების რაოდენობა ყოველწლიურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება. სოციალური მომსახურების სააგენტოში შესული ვაკანსიების უმრავლესობა მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე მოდის - 56%, რასაც მოჰყვება ტექნიკოსებსა და დამხმარე სპეციალისტებზე მიღებული ვაკანსიები - 23,4%²³.

სააგენტოში შესული ვაკანსიების ამგვარი განაწილება თანხვედრაშია დასაქმების კერძო სააგენტოს - HR.GE-ს მიერ 2018 წელს 65 ათასზე მეტი²⁴ გამოქვეყნებული ვაკანსიების განაწილებასთან, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ქვეყანაში „ლურჯ საყელიან“ სამუშაო ძალის მიმართ მოთხოვნაზე (მაღალი კონსულტანტ-გამყიდველი, მიმტანი, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, მზარეული, ბარმენი, კოსმეტოლოგი, მოლარე, სტილისტი და ა.შ). ამასთანავე სააგენტოში შესული ვაკანსიებიდან მაღალია მოთხოვნა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელზე - 9.2%²⁵.

იქიდან გამომდინარე, რომ ორივე პორტალი ეფუძნება შრომის ბაზარზე არსებული სუბიექტების ნებაყოფლობითი რეგისტრაციის პრინციპს, ხელმისაწვდომი ინფორმაცია მოიცავს სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა მხოლოდ მცირე ნაწილს და შესაბამისად, ვერ ასახავს სრულად საქართველოს შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. ეს განსაკუთრებით ეხება

²¹ <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=7d9ca7cd-cc1b-45ed-9f8f-394b060d9abe>

²² იქვე, გვ. 60

²³ საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2019, გვ. 57

²⁴ იქვე, გვ. 37

²⁵ იქვე, გვ. 61

საქართველოს ბიზნეს-სექტორს, რომელშიც კადრების მნიშვნელოვანი ნაწილის მოძიება არაფორმალური კონტაქტების გამოყენებით ხდება.

ამ თვალსაზრისით საწარმოების რეპრეზენტატიული სტატისტიკური გამოკვლევები, ისეთი როგორიც საქართველოში ტარდება 2015 წლიდან, იძლევა უფრო სანდო ინფორმაციას საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებსა და სპეციალობებზე.

როგორც ბოლო, 2020 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში საწარმოთა 13.7%-ს ჰქონდა 59,000-მდე ვაკანსია. არსებული ვაკანსიების ყველაზე დიდი წილი საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე მოდიოდა - 35%-მდე, 11% - სასტუმროებზე და რესტორნებზე, 8.5% - მშენებლობაზე. ყველაზე ცოტა ვაკანსია ამ პერიოდში სოფლის მეურნეობისა და სამთომოპოვებით მრეწველობის სექტორებში დაფიქსირდა²⁶.

ცხრილი #1. არსებული ვაკანსიები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (%-ში)

	2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო 3 თვეში (1)	2018 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში (2)
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	38.5	34.7
სასტუმროები და რესტორნები	...	10.9
მშენებლობა	7.2	8.5
გადამამუშავებელი მრეწველობა	13.2	7.9
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	8.3	5.7
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	3.1	5.4
ტრანსპორტირება და დასაწყობება	3.8	4.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	3.0	3.7
სხვა დანარჩენი	22.9	19.3

წყარო: (1) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2017. ანგარიში, გვ. 39

(2) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2020, გვ. 22

მიუხედავად იმისა, რომ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები 2017 და 2018-2019 წლებში არსებული ვაკანსიების შესახებ გასხვავდება საანალიზო პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით²⁷, რაც განპირობებულია სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიშების სტრუქტურით, მათი შედარება სრულებით შესაძლებელია, რადგან მაჩვენებლები ეფუძნება ვაკანსიების პროცენტულ განაწილებას ჯამურ რაოდენობასთან. ზემოთმოყვანილი მონაცემების შედარება გვიჩვენებს,

²⁶ საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2019, გვ. 35

²⁷ 2017 წელს ვაკანსიების რაოდენობა დათვლილია 3-თვიან პერიოდზე, ხოლო მომდევნო წელს - 12 თვიან პერიოდზე

რომ საანალიზო პერიოდში სამუშაო ძალის მოთხოვნა საქართველოში ოდნავ შემცირებულია ვაჭრობის სფეროში, თუმცა ის 2015 წელს რომ შევადაროთ (25.4%)²⁸, მოთხოვნა ამ სექტორში მნიშვნელოვნად გაზრდილია. წინა წელთან შედარებით გაზრდილია სპეციალისტების მოთხოვნა ინფორმაციის და კომუნიკაციის სექტორშიც, ასევე მშენებლობაში და კიდევ უფრო მეტად საფინანსო და სადაზღვევო სექტორში. მკვეთრად შემცირებულია სამუშაო ძალის მოთხოვნა ამ მოკლე პერიოდშიც კი გადამამუშავებელ მრეწველობაში და ასევე ჯანდაცვის და სოციალურ მომსახურების სექტორში. რაც შეეხება სასტუმროების და რესტორნების ბიზნესს, მონაცემები ამ ეკონომიკურ სექტორზე ცალკე არ არის გამოყოფილი 2017 წლის ანგარიშში. თუმცა, 2015²⁹ წელს ჩატარებულ გამოკვლევას რომ შევადაროთ, ამ დარგშიც საქართველოში ვაკანსიების კლება ფიქსირდება (13.9%-დან 10.9%-მდე), რაც ცოტა უცნაურად გამოიყურება საქართველოში ტურიზმის სწრაფი განვითარების ფონზე. ამის ახსნა, ჩვენი აზრით, შეიძლება იმით, რომ ბოლო წლებში, სპეციალისტების მომზადება ტურიზმთან ასოცირებული სექტორებისათვის, ფართოდ დაინერგა პროფესიულ სასწავლებლებში, რამაც გამოიწვია შესაბამისი უნარების მზარდი მიწოდება ადგილობრივ შრომის ბაზარზე. 2015 წელთან შედარებით ასევე აღინიშნება არსებული ვაკანსიების კლების ტენდენცია ვაჭრობის სფეროში.

არსებულ ვაკანსიებს განხილვისას, ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, ჩანს რომ მოთხოვნილი სამუშაო ადგილების უმრავლესობა 2019 წელს მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების პერსონალზე მოდის, მას მოსდევს სპეციალისტების ჯგუფი (15.7%), დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკები (13.1%), მენეჯერები (12.5%), ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები (9.4%), სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები (8.9%), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები (8.4%), ოფისის პერსონალი (8.3%)³⁰.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ საწარმოებიდან, რომლებსაც 2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის სექტემბრამდე ჰქონდათ გამოცხადებული ვაკანსიები, მხოლოდ 9%-ს³¹ შეექმნა პრობლემა ვაკანტური პოზიციების შევსებისას. თუმცა, თუ გავანალიზებთ 2019 წლის ბოლო 3 თვის (1 სექტემბრამდე) შესაბამის მონაცემებს, საწარმოების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების 57%-³² აღნიშნულ პერიოდში ვერ შეივსო. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწარმოებს როგორც ჩანს, უჭირთ დროულად შესაბამისი სპეციალისტების მოძიება ვაკანტურ ადგილებზე: 3-თვიანი პერიოდის განმავლობაში ამას ყოველი ათი საწარმოდან მხოლოდ ოთხი ახერხებს. ეს განსაკუთრებით ეხება სამუშაო ადგილებს მომსახურებისა და გაყიდვების დარგში, სადაც პერსონალის გადინება უფრო მაღალ ნიშნულზეა. შეუვსებელი ვაკანსიების ყველაზე დიდი წილი ამ სექტორში ხელოსნებზე და მონათესავე პროფესიების მუშაკებზე მოდის³³.

კვლევის დროს ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეებიდან ძირითადად აპლიკანტთა არასაკმარისი გამოცდილება დასახელდა (42.6%), შემდეგ მოდის აპლიკანტთა დაბალი კვალიფიკაცია (23.5%) და ის, რომ აპლიკანტებს არ მოეწონათ შეთავაზებული სამუშაო გარემო (21.4%); აპლიკანტთა 5.8%-ს უფრო მაღალი ხელფასის მოლოდინი ჰქონდა³⁴.

ბოლო მონაცემებით, საქართველოს შრომით ბაზარზე არსებული ვაკანსიების ერთი მესამედი მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალზე მოდის, 13.3%- სპეციალისტების

²⁸ შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, თბილისი, 2005, გვ. 20

²⁹ იქვე

³⁰ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2020, გვ. 22

³¹ იქვე, გვ. 27

³² იქვე, გვ. 31

³³ იქვე, გვ. 31

³⁴ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2020, გვ. 33

ჯგუფზე, 12.6%- სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებზე და ამწყობებზე, 11.2%- ხელოსნებზე და მონათესავე პროფესიების მუშაკებზე; ოფისის პერსონალზე მოდის ვაკანსიების 9.2%³⁵.

5.1. 5. უნარების განვითარებაზე მოთხოვნა რეგიონების მიხედვით

კვლევის ფარგლებში ყველა მუნიციპალიტეტში შეგროვდა ინფორმაცია რა სფეროს სპეციალობაზეა მოთხოვნა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში #2 რეგიონების მიხედვით, ამ თავში კი შეჯამებულია ძირითადი ტენდენციები.

ცხრილი #2. კადრებზე მოთხოვნა მიმართულებისა და რეგიონების მიხედვით

		უნარების განვითარებაზე მოთხოვნის შეჯამება
1.	თბილისი	ვაჭრობის, მშენებლობის, ჯანდაცვის სექტორების სპეციალისტები; სერვისის, ტურიზმის, სასტუმროები და რესტორნის სექტორების სპეციალისტები
2.	აჭარა	ტურიზმის, სერვისის, კულინარიის, IT, განათლების, სატრანსპორტო და ლოგისტიკის სფეროს სპეციალისტები; მშენებლობის სფეროს სპეციალისტები სოფლის მეურნეობის, ხელოვნებისა და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები
3.	გურია	სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, კომპიუტერული ტექნოლოგიები, სარესტორნო საქმესთან დაკავშირებული პროფესიები.
4.	იმერეთი	ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები; ინდუსტრიულ ქალაქებში ზესტაფონსა და ტყიბულში ფიქრობენ, კერძოდ მადნის დამუშავებასა და ქვანახშირის მოპოვებასთან დაკავშირებული სპეციალისტების მომზადების საჭიროება. თუმცა ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება ამჟამად შეწყვეტილია.
5.	კახეთი	სოფლის მეურნეობის, მშენებლების, ტურიზმის სფეროს სპეციალისტები; მექანიზატორები, ვეტერინარები
6.	მცხეთა-მთიანეთი	სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მშენებლობის, მომსახურების სპეციალისტები
7.	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	ტურიზმის, ხე-ტყის კომპიუტერის, სამკერვალო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.
8.	სამეგრელო - ზემო სვანეთი	სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მშენებლობა-ინჟინერიის სპეციალისტები
9.	სამცხე-ჯავახეთი	მშენებლობის, ვაჭრობის, ტურიზმის (სასტუმროები და რესტორნები მზარეული და დამლაგებელი ა.შ), ჯანმრთელობის სფეროს სპეციალისტები სასმელების წარმოება, მებალეობა-მეუზოვეობა, ხე-ტყის გადამამუშავება და ანტისეპტირება
10.	ქვემო ქართლი	სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტურიზმის სფეროს სპეციალისტები
11.	შიდა ქართლი	ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ინჟინერია/მშენებლობის, IT სფეროს სპეციალისტები

³⁵ იქვე, გვ. 34

6. საქართველოს საგანმანათლებლო სექტორი

6.1. საგანმანათლებლო სექტორის მოკლე მიმოხილვა

საქართველო ადამიანის გლობალური განვითარების და ინოვაციების ინდექსების შუა პოზიციას იკავებს; საქართველოში განათლება სავალდებულოა 6-14 წლის ყველა ბავშვისთვის; ქვეყანას აქვს საშუალო განათლებაში ჩარიცხვის მაღალი (100% 2016 წელს) და სკოლის ნაადრევი მიტოვების შედარებით დაბალი მაჩვენებელი (8,9% 2017 წელს); წერა-კითხვის უცოდინრობის დონე მინიმალურია (დაახლოებით 0,4%). 18-24 წლის ასაკში განათლების მიტოვება მაჩვენებელი არის - 9,6%. საშუალო ძალის განათლების დონე შედარებით მაღალია: 2018 წელს 30-34 ასაკობრივი ჯგუფის უმაღლესი პროფესიული განათლების დონე 44,1% იყო.

ცხრილი #1. ადამიანური კაპიტალის განვითარების ინდიკატორები

ინდიკატორები	მაჩვენებელი	წელი
განათლების საშუალო წლები (UNDP)	12.8	2017
განათლების წლები (UNDP)	15	2017
განათლებისთვის სწავლაზე-მორგებული წლები(მსოფლიო ბანკი)	86.6	2017
ზრდასრულთა წიგნიერება (იუნესკო)	57.5	2017
საშუალო განათლებაში ჩარიცხვის დონე (იუნესკო)	8.8	2016
უმაღლეს პროფესიულ განათლებაში სწავლის მთლიანი კოეფიციენტი (იუნესკო)	71	2018
პროფესიული საგანმანათლებლო ჩარიცხვა როგორც % ISCED 3 (იუნესკო)	59	2018
გაეროს განვითარების პროგრამის ადამიანის განვითარების ინდექსი - რეიტინგი 189 ქვეყანას შორის	66	2018
გლობალური ინოვაციების ინდექსი - რეიტინგი 126 ქვეყანას შორის	38	2018
WEF გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 4.0 - რეიტინგი 137 ქვეყანას შორის	57%	2017-2018
ციფრული მზაობის ინდექსი - რეიტინგი 118 ქვეყანას შორის	12.8	2017
WEF ქსელური მზადყოფნის ინდექსი - რეიტინგი 139 ქვეყანას შორის	15	2017
მოსახლეობის %, ვინც ინტერნეტს იყენებს (UNDP)	86.6	2017

წყარო: ETF- ის შედგენა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზებიდან, როგორც ეს მოცემულია ცხრილში.

ზოგადი განათლება დაყოფილია 3 საფეხურად: დაწყებითი (ქვესი წელი; 6–12 წლამდე), საბაზო (სამი წელი; 12–15 წლამდე), საშუალო (სამი წელი; 15–18 წლამდე); პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-3, მე-4 და მე-5 დონეზე; სასწავლო და გადამზადების პროგრამები მე-2-5 დონეზე. უმაღლესი განათლება შედგება 3 დონისგან: ბაკალავრიატი (240 ECTS), მაგისტრატურა (120 ECTS) და დოქტორანტურა (180 ECTS).

საქართველოში მაღალი ახალგაზრდების წილი, რომლებიც არც მუშაობენ, არც სწავლობენ და არ არიან ჩართულები რაიმე სახის ტრენინგში (NEETs). NEET– ის ყველაზე მაღალი ალბათობაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა შორის (თითქმის ნახევარი); შემდეგი ჯგუფში მოდიან უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულები (თითქმის 40%), შემდეგ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები (თითქმის 32%). ეს ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო დონე ყოველთვის არ არის დაკავშირებული NEET– ის მაჩვენებელთან და პროფესიული განათლება არ იცავს ახალგაზრდებს NEET– ისგან.

ცხრილი #2. NEET (ასაკი 15-24) საგანმანათლებლო დონის მიხედვით, 2018

განათლების დონე	სულ	მამაკაცი	ქალი
დაბალი საშუალო და უფრო ქვემოთ	14.4	12.2	16.9
უმაღლესი საშუალო განათლება	31.5	29.6	34.0
პროფესიული განათლება (below tertiary)	49.6	33.1	64.2
უმაღლესი განათლება	39.3	32.5	43.2
სულ	26.9	23.2	31.0


წყარო: საქსტატი, LFS 2018.

6.2. პროფესიული განათლების სისტემა

6.2.1 პროფესიული საგანმანათლებლო ქსელი და პროფესიული სტუდენტები

2013-2020 საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიას აქვს შვიდი ძირითადი მიზანი, რომ ჩამოაყალიბოს სისტემა, რომელიც არის თანამედროვე, ინკლუზიური, მიმზიდველი და ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. უფრო კონკრეტულად, რეფორმის პრიორიტეტული სფეროები მოიცავენ სოციალურ პარტნიორობას, საჯარო-კერძო პარტნიორობას, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, მასწავლებელთა მუდმივ პროფესიულ განვითარებას, ხარისხის გაუმჯობესებას, პროფესიული განათლების და სხვა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთდაკავშირებას.

პროფესიული განათლების რეფორმის კვალდაკვალ იზრდება პროფესიული განათლების დაფინანსება (იხ. დიაგრამა #1) 2017 წელს პროფესიული განათლების ბიუჯეტი შეადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის 3.1% -ს. 2017 წლიდან 2020 წლამდე დაგეგმილია პროფესიული განათლების ბიუჯეტის 22% -იანი ზრდა, რაც საერთო ბიუჯეტის წილის 4% -მდე გაზრდას გულისხმობს.



დიაგრამა #1. პროფესიული განათლების დაფინანსება (მლნ. ლარი) 2013-2020 წლები

პროფესიული განათლების ქსელი წარმოდგენილია როგორც საჯარო, ისე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებით.

2020 წლის ივლისის მონაცემით საქართველოში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს 92 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება, 67 კოლეჯი/საზოგადოებრივი კოლეჯი, 18 უსდ და 7 სკოლა (EMIS, 2020).

2018 წლამდე პროფესიული პროგრამები ხელმისაწვდომი იყო 27 მუნიციპალიტეტში, 2018-2019 წლებში დაემატა 4 მუნიციპალიტეტი, ხოლო 2019 წელს კოლეჯების მშენებლობა/მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო 7 მუნიციპალიტეტში (განათლების

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020). 2019 წლის ბოლოსა და 2020 წლის დასაწყისისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ქვეყნის ათივე რეგიონსა და 37 მუნიციპალიტეტში (თბილისის ჩათვლით) იყო ხელმისაწვდომი. სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ქვეყნის ყველა რეგიონშია, ხოლო კერძო დაწესებულებები არ მოიცავს მცირე ზომის რეგიონებს, როგორცაა მცხეთა-თიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია.

იმ დაწესებულებების მთლიანი რაოდენობა, რომელიც ახორციელებს პროფესიული განათლების პროგრამებს 2018 წელთან შედარებით გაიზარდა 4-ით 2019 წელს. პროფესიული განათლების დაწესებულებების რაოდენობა გაიზარდა 21-ით, პროფესიული განათლების საზოგადოებრივი კოლეჯების რაოდენობა შემცირდა 5-ით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ პროფესიული განათლების პროგრამებს შემცირდა 2-ით, როდესაც სკოლების რაოდენობა დარჩა იგივე (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი #1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

	2018			2019		
	საჯარო დაწესებულებები	კერძო დაწესებულებები	ყველა დაწესებულება	საჯარო დაწესებულებები	კერძო დაწესებულებები	ყველა დაწესებულება
პროფ. საგანმანათლებლო დაწესებულებები	11	23	34	22	23	45
საზოგადოებრივი კოლეჯი	13	38	51	43	3	46
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები	14	9	23	8	13	21
სკოლები	1	9	10	1	9	10
სულ			118			122

წყარო: EMIS, 2019

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები 2020 წლის ივლისის მონაცემით მოცემულია ცხრილში #2. შესაძლოა მცირედ განსხვავებული იყოს დანართი #1-ში რეგიონების მიხედვით მოცემული მონაცემები, რადგან ეს მონაცემები ძირითადად ივლისი-აგვისტოს პერიოდში შეგროვდა; ასევე ცხრილი #1 მოცემულია ის დაწესებულებები, რომლებიც კვლევის პროცესში ახორციელებდნენ პროგრამებს, თუმცა რეგიონის ყველა სასწავლებელი შესაძლოა კვლევის პროცესში არ ნეგავდა პროგრამებს.

ცხრილი #2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება (2020 წლის ივლისის მონაცემით)

	საჯარო				კერძო			
	სულ	კოლეჯი/საზ.კო	უსდ	ზსდ	სულ	კოლეჯი/საზ.კოლეჯი	უსდ	ზსდ
თბილისი	13	8	5		28	23	2	3
აჭარა	4	2	2		9	6	3	0

გურია	1	1						
იმერეთი	5	3	2		5	4		1
კახეთი	3	2	1		1	1		
მცხეთა-მთიანეთი	2	2						
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	1	1						
სამეგრელო - ზემო სვანეთი	4	3	1		2	2		
სამცხე-ჯავახეთი	2	1	1		1			1
ქვემო ქართლი	1	1			4	4		
შიდა ქართლი	4	2	1	1	2	1		1
საქართველო	40	26	13	1	52	41	5	6


2017-2019 წლებში გამოცდაზე დარეგისტრირებულთა (რეგისტრანტების) დინამიკა კლებადაა: 2018 წელს რეგისტრანტთა რაოდენობა 19.6%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო 2019 წელს კი 11.9%-ით. რეგისტრირებულთაგან დაახლოებით 58-60% ირიცხება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, თუმცა ყოველწლიურად იკლებს ჩარიცხულთა აბსოლუტური რაოდენობა. 2018 და 2019 წელს დაწესებულებების მიხედვით სტუდენტების რაოდენობა მოცემულია #4 ცხრილში.

ცხრილი #4. 2018 და 2019 წლის აგვისტოს სტატისტიკური მონაცემები პროფესიული განათლების სტუდენტების შესახებ

	2018			2019		
	სტუდენტები საჯარო დაწესებულებებში	სტუდენტები კერძო დაწესებულებებში	ყველა სტუდენტი 2018-ში	საჯარო დაწესებულებები	კერძო დაწესებულებები	ყველა სტუდენტი 2019-ში
პროფ. საგანმანათლებლო დაწესებულებები	5697	788	6485	4954	555	5509
საზოგადოებრივი კოლეჯი	787	3091	3878	654	2526	3180
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები	1277	423	1700	1624	323	1947
სკოლები		252	252	19	217	236
სულ	7761	4554	12315	7251	3621	10872

წყარო: EMIS, 2019


სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი სახელმწიფოს დაფინანსებით ბოლო 3 წლის განმავლობაში იზრდება (იხ. დიაგრამა #2), თუმცა აპლიკანტთა რაოდენობა აღემატება კოლეჯებში არსებული ადგილების რაოდენობას, და გაცილებით მაღალია ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობაზე.



დიაგრამა #2. სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი სახელმწიფოს დაფინანსებით, გმკს სამინისტრო

სტუდენტების წილი პროფესიულ პროგრამებში, როგორც საშუალო განათლების მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი (ISCED დონე 3), 2016 წელს იყო 8.8% (9.7 კაცი და 7.8 ქალი). ჩარიცხვის დონემ 2017/2018 წლებში 2.6 შეადგინა.


2012/13 წლებთან შედარებით, 15-19 წლის ასაკობრივ კატეგორიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხვის დონე 1% -ით გაიზარდა ჩარიცხულთა შორის (იხილეთ დიაგრამა #3).



დიაგრამა #3. ჩარიცხული სტუდენტების განაწილება ასაკის მიხედვით (2015-2019)

თუმცა საგულისხმოა, რომ რეგისტრანტთა და ჩარიცხულთა დინამიკის შემცირების მიუხედავად 2017-2019 წლებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა არ მცირდება: 2019 წელს 10,058 სტუდენტმა მიიღო პროფესიული განათლების დიპლომი; 2018 წელს - 10,371; 2017 წელს - 9,132. 2018 წელს საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების მაჩვენებელი იყო 68% (75% კერძო და

66 საჯარო დაწესებულებაში), ხოლო სწავლის მიტოვების მაჩვენებელი 27% (21 კერძო დაწესებულება და 30% საჯარო) (EMIS, 2018).



დიაგრამა #4. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი

წყარო: კურსდამთავრებულთა კვლევა (tracer study) 2014-2019

ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ 2020 წელს ჩატარებულმა ახალგაზრდობის კვლევამ, რომელშიც საქართველოს მასშტაბით მონაწილეობა 4652-მა ახალგაზრდამ მიიღო, შემდეგი ტენდენციები გამოავლინა:

ახალგაზრდების 67% კმაყოფილებას გამოთქვამს ზოგადად მიღებული განათლების ხარისხით; მიღებული განათლების ხარისხით კმაყოფილია პროფესიული სასწავლებლის სტუდენტების 69%-ია, კურსდამთავრებულთა - 56% და სხვა კატეგორიის - 67%. ამრიგად ყველაზე ნაკლებ კმაყოფილებას კურსდამთავრებულები გამოთქვამენ.

რესპონდენტთა უმრავლესობა პროფესიულ განათლებაზე (60%) ხელმისაწვდომობას პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს. ამათგან პროფესიული სტუდენტებისა და სხვა კატეგორიის 60% და კურსდამთავრებულთა უფრო მეტი რაოდენობა - 68%. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების პროფესიული განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

6.2. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები ასწავლიან 14 მიმართულებით 102 სახის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ანიჭებენ შესაბამის კვალიფიკაციებს.

2017-2019 წლებში საქართველოს მასშტაბით პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა სულ მოამზადეს 30653 კადრი.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი კადრი მზადდება შემდეგი მიმართულებით:

- ინჟინერია (აგრო ინჟინერია, გარემოს ინჟინერია & უსაფრთხოება, ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია, კომპიუტინგი/ინფორმატიკა, მასალათმცოდნეობა, მექანიკის ინჟინერია & ტექნოლოგია, მშენებლობა, სამთო & გეოინჟინერია, სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია, ტრანსპორტი, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია, ხელსაწყოთ მშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები) – 29.96%
- ბიზნეს ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა, ფინანსები) - 16.46%

3. ჯანდაცვა (მედიცინა, საექთნო საქმე (ექთანი/ბებია ქალი), სტომატოლოგია, ფარმაცია, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია) -16.37%
4. აგრარული მეცნიერებანი (აგრონომია, ვეტერინარია, მენეჯმენტი, მეცხოველეობა, სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე) -13.3%

ცხრილი #1. ადამიანური რესურსების მომზადება მიმართულებისა და დარგის მიხედვით (2017-2019 წლები)

	მიმართულება	დარგი	კურსდამთავრებულთა რ-ა მიმართულებების მიხედვით	%
1	აგრარული მეცნიერებანი	აგრონომია, ვეტერინარია, მენეჯმენტი, მეცხოველეობა, სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე	3995	13.03
2	ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი	საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა, სამდივნო და საოფისე საქმე, ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	71	0.23
3	ბიზნესის ადმინისტრირება	მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა, ფინანსები	5045	16.46
4	განათლება	მასწავლებლის განათლება	273	0.89
5	ინჟინერია	აგროინჟინერია, გარემოს ინჟინერია & უსაფრთხოება, ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია, კომპიუტინგი/ინფორმატიკა, მასალათმცოდნეობა, მექანიკის ინჟინერია & ტექნოლოგია, მშენებლობა, სამთო & გეოინჟინერია, სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია, ტრანსპორტი, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია, ხელსაწყოთა მშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები	9184	29.96
6	ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა	ელექტრობა და ენერგია, მექანიკა და ლითონის საქმე, მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია	125	0.41
7	ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება	146	0.48
8	მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	გეოგრაფია	39	0.13
9	ჯანდაცვა	მედიცინა, საექთნო საქმე (ექთანი/ბებია ქალი), სტომატოლოგია, ფარმაცია, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	5019	16.37
10	ხელოვნება	აუდიოვიზუალური ხელოვნება, დიზაინი, მედია ხელოვნება, სამუსიკო ხელოვნება, სახვითი ხელოვნება, ქორეოგრაფიული ხელოვნება	2498	8.15
11	სოციალური მეცნიერებები	კულტურული მემკვიდრეობა, მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა	159	0.52
12	სამართალი	სისხლის სამართალი	874	2.85
13	მომსახურებები	სასტუმრო, რესტორანი და კვება, თმის და სილამაზის მომსახურებები	43	0.140

14	მიმართულებათაშ ორისი დარგები ან სპეციალობები	არქიტექტურა, საზღვაოსნო მეცნიერებები(საზღვაო ნავიგაცია/გემის მექანიკა/გემის ელექტრომექანიკა), სპორტი, ტურიზმი	3182	10.38
	ჯამი		30653	100

წყარო: მონაცემები გაანგარიშებულია EMIS მონაცემთა ბაზის მიხედვით

6.2.2. მომზადება-გადამზადების პროგრამები

პროფესიული განათლების კანონის თანახმად, 2019 წლიდან შეიქმნა მოზრდილთა განათლების სისტემა პროფ. განათლებაში, რომელიც მიზნად ისახავს ზრდასრულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ფორმირებას. პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო დაფინანსება განხორციელდება პრიორიტეტულ სექტორებში; კერძო პროვაიდერებს ასევე შეუძლიათ პროგრამების მიწოდება. მომზადება -გადამზადების პროგრამები NQF-ის 2-5 დონეზე ხორციელდება.

პროფესიული განათლება წარმოადგენს აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის უდიდეს ნაწილს, ამასთან, 2013 წლიდან შეიქმნა სხვადასხვა აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკა, მათ შორის სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების კურსები. აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკა მოიცავს სამუშაოს მაძიებელთა მომსახურებას, ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს, მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების მხარდაჭერას, დასაქმების ფორუმებს, მაძიებელთა ტრენინგისა და გადამზადების სახელმწიფო პროგრამებს.

მომზადება გადამზადების 135 პროგრამაა ავტორიზებული, მაგრამ ინერგება 129 პროგრამა ყველა რეგიონში გარდა რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთისა; ჯამში 3457 სტუდენტი მომზადდა. ყველაზე მეტი მომზადდა შემდეგ პროგრამებზე:

1. კერძების მომზადების ტექნოლოგია
2. ლამინირებული ავეჯის დამამზადებელი
3. დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში
4. ვებ გვერდის ინტერფეისის მოდელირება (Mark up)

მომზადება -გადამზადების პროგრამები რეგიონების მიხედვით იხილეთ დანართზე #2.

ცხრილი #3. მომზადება-გადამზადების პროგრამები რეგიონების მიხედვით

		პროგრამების რაოდენობა	სტუდენტების რაოდენობა
1.	თბილისი	59	1819
2.	აჭარა	21	566
3.	გურია	2	20
4.	იმერეთი	18	565
5.	კახეთი	4	68
6.	მცხეთა-მთიანეთი	3	38
7.	რაჭა-ლეჩხუმი- ქვემო სვანეთი		
8.	სამეგრელო -ზემო სვანეთი	9	159
9.	სამცხე-ჯავახეთი	6	97
10.	ქვემო ქართლი	4	75
11.	შიდა ქართლი	3	50

12.		3457
-----	--	------

ზრდასრულთათვის სხვადასხვა არაფორმალური კურსების ისწავლება 7 რეგიონსა და თბილისში, ჯამში 14 მუნიციპალიტეტში: პროგრამები რეგიონების მიხედვით მოცემულია ცხრილში #2 ხოლო მუნიციპალიტეტების მიხედვით დანართში #3.

ცხრილი #4. არაფორმალური განათლების პროგრამები რეგიონების მიხედვით

#	რეგიონი		პროგრამები
1.	თბილისი		• კომპიუტერული საოფისე პროგრამები • თეა, ჭრა-კერვა, მინაწერი • ინგლისური ენის • ავტომობილის მართვა • კულინარია • მშენებლობა
2.	აჭარა	ქედა ხელვაჩაური	• კომპიუტერული საოფისე პროგრამები • მინაწერი • ინგლისური ენის • ავტომობილის მართვის თეორიული კურსი • აბიტურიენტთა მოსამზადებელი, კულინარიის შემსწავლელი კურსები. • ტრენინგები საოჯახო სასტუმროებისა და რესტორნების მფლობელებისთვის
3.	გურია	ოზურგეთი ჩოხატაური ლანჩხუთი	• გარე-განათების სპეციალისტი, • დისტანციური აიტი მართვის სპეციალისტი • ინგლისური • ომპიუტერის საოფისე პროგრამები; ბუღალტერია; • მანიკურ-პედიკური; გიდი; • ფოტოგრაფია; მასაჟისტი; თეა; • ხის სუვენირების დამზადება; • სამოქალაქო განათლება; სამეწარმეო განათლება; ფინანსური განათლება; სოციალური მენტორობა; • იგეგმება ჩაის გადამამუშავების ტექნოლოგიის, ადგილობრივი გილის, ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადების, საკერავი მანქანის ოპერატორის, სტილისტის, სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლის, ბუღალტრული აღრიცხვის და სარესტორნო მომსახურების სპეციალისტების მომზადება. ლანჩხუთში კერძო ბიზნესის მონაწილეობით ფუნქციონირებს შემდეგი კურსები: • კომპიუტერული პროგრამები; ბუღალტერია • მენეჯმენტი; ფარმაცია; მასაჟი.
4.	იმერეთი	ხარაგაული ხონი	DVV და ზრდასრულთა განათლების ცენტრი • კომპიუტერული საოფისე პროგრამები; • ტურიზმი (გიდი, საინფორმაციო უზრუნველყოფა, კრიზისების მართვა, გაყიდვის მენეჯმენტი.);

			• უცხო ენები (ინგლისური ენა - A1, A2, B1 დონე; გერმანული ენა - A1, A2, B1 დონე; რუსული ენა - A1, A2, B1 დონე;) - კომპიუტერული საოფისე პროგრამები. კერძო ბიზნესის ინიციატივით მოქმედებს კურსები: ბიზნესის მენეჯმენტში, კერძოდ სამეწარმეო განათლება, მცირე და საშუალო ბიზნესის რეგისტრაცია და მართვა.
5.	კახეთი	გურჯაანი თელავი	• ბუღალტერია; საბუღალტრო აღრიცხვა • ავტო მემსწავლელი • კომპიუტერული კურსები • ჭრა-კერვის კურსები.
6.	მცხეთა-მთიანეთი	-	-
7.	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	-	-
8.	სამეგრელო - ზემო სვანეთი	მესტია ფოთი	• ინგლისური ენის პროგრამა Access • სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები;
9.	სამცხე-ჯავახეთი		
10.	ქვემო ქართლი	ბოლნისი თეთრიწყარო	• სამთომოპოვებითი მრეწველობა • კურსები ხელოვნების სფეროში • კურსები შრომის ბაზარზე მოთხოვნად სფეროებში
11.	შიდა ქართლი	-	-

6.2.3 პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმება რეგიონებისა და მიმართულებების მიხედვით

ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ 2020 წელს ჩატარებულმა ახალგაზრდობის კვლევამ, რომელშიც საქართველოს მასშტაბით მონაწილეობა 4652-მა ახალგაზრდამ მიიღო, შემდეგი ტენდენციები გამოავლინა: გამოკითხული 18-25 წლის ახალგაზრდების ნახევარი - 50%, ხოლო 26-29 წლის ახალგაზრდების 31% არ არის დასაქმებული და ეძებს სამსახურს. მონაცემები გაანალიზდა პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა კატეგორიის მიხედვით. როგორც ცხრილი #1 გვიჩვენებს პროფესიული სტუდენტები ფიქრობენ რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი უნარ-ჩვევებისა და დასაქმების სერვისების არ არსებობაა, კურსდამთავრებულები ფიქრობენ რომ მიზეზი დასაქმების სერვისების არ არსებობა და ნაცნობების/ნათესავების არარსებობა, ხოლო ყველა სხვა ჯერჯერობით დასაქმება არ არის ჩემი ინტერესი და არ მაქვს კონკრეტული მიზეზი.

ცხრილი#1. ახალგაზრდების უმუშევრობის მიზეზები

	პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი	პროფესიული სასწავლებელი დავამთავრებული	სხვა კატეგორია
პროფესიული უნარჩვევების ნაკლებობა	26	22	9

ზოგადი უნარ-ჩვევების ნაკლებობა	12	6	3
ინფორმაციის არ ქონა ვაკანსიების შესახებ	21	18	16
დასაქმების სერვისების არ არსებობა	25	37	18
ჯანმრთელობის პრობლემა	0	2	1
ენის პრობლემა	13	12	5
ოჯახური პრობლემები	5	15	3
ნაცნობების/ნათესავების არარსებობა	9	23	8
ჯერჯერობით დასაქმება არ არის ჩემი ინტერესი	9	3	32
არ მაქვს კონკრეტული მიზეზი	17	9	21
სხვა	3	5	14

შესაბამისად, პროფესიული სტუდენტები და “სხვა კატეგორია” ფიქრობენ რომ მათ დასაქმებაში დაეხმარებიდათ პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება და სტაჟირების შესაძლებლობა, ხოლო პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები ასახელებენ სტაჟირების შესაძლებლობა სა და პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას.

2012 წლიდან სისტემატურად ტარდება კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა. 20217-2019 წლის მონაცემები მოცემულია ცხრილში #1. 2018 წელს გაიზარდა დასაქმების მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით, თუმცა 2019 წელს 49%-მდე შემცირდა, რაც სავარაუდოდ კოვიდის პერიოდში დასაქმების სირთულეებს უკავშირდება. საერთო მაჩვენებელი 2017-2019 წწ დაახლოებით 54%-ია.

ცხრილი# 2. 2017-2019 წწ პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმება %

	ქალი %	კაცი %	სულ %
2017	41.4	58.6	50
2018	40.3	59.7	62.3
2019	43.8	56.2	49

წყარო: კურსდამთავრებულთა კვლევა

პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით მოცემულია ცხრილში #4. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა თბილისი, რაც დასაქმებულთა დაახლოებით 1/3 -ს შეადგენს, რასაც მოსდევს აჭარა, იმერეთი და შიდა ქართლი. დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთსა და მცხეთა-მთიანეთს.

ცხრილი #3. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით %

		2017	2018	2019	საშუალო 2017-2019
12.	თბილისი	29.4	33.4	29.3	30.7
13.	აჭარა	9.1	11.6	21.3	14.0
14.	გურია	6.5	4.5	1.5	4.2
15.	იმერეთი	16.6	14.1	9.1	13.2
16.	კახეთი	10.6	7.3	13.7	1.5
17.	მცხეთა-მთიანეთი	0.5	3	2.9	2.1
18.	რაჭა-ლეჩხუმი- ქვემო სვანეთი	1.6	0.9	0.8	1.1
19.	სამეგრელო -ზემო სვანეთი	7.0	4.5	8.1	6.5
20.	სამცხე-ჯავახეთი	4.1	5.9	3.9	4.5
21.	ქვემო ქართლი	4.7	8.9	3.6	5.7
22.	შიდა ქართლი	9.9	5.9	5.8	7.2

პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები მიმართულებების მიხედვით მოცემულია ცხრილში #5. მიმართულებების მიხედვით ლიდერობს დასაქმება ინჟინერიისა და აგრარული მეცნიერებების მიმართულებით, შემდეგ ადგილზეა ბიზნეს ადმინისტრირება და ხელოვნება.

ცხრილი # 4. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები მიმართულებების მიხედვით %

		2017	2018	2019	გაერთიანებული 2017-2019
1.	აგრარული მეცნიერებანი	19.5	20.2	20.9	20.2
2.	ბიზნესის ადმინისტრირება	12.8	12.1	7.8	10.9
3.	განათლება	0.3	1.4	3.6	1.8
4.	ინჟინერია	40.6	42.2	41.4	41.4
5.	მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	0	0.5		0.25
6.	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობებო	9.1	9.8	8.5	9.1
7.	სამართალი	1.6	0.7		1.2
8.	სოციალური მეცნიერებები	1	1.1	1.2	1.1
9.	ხელოვნება	10.4	8.6	10.9	10.0
10.	ჯანდაცვა	4.7	3.4	5.8	4.6

როგორც ცხრილში # 5 მოცემული კურსდამთავრებულთა დასაქმება; რეგიონების მიხედვით შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა; მოცემულია 3 ყველაზე დასაქმებადი მიმართულება:

- თბილისში, მცხეთა-მთიანეთსა და აჭარაში: ინჟინერია, აგრარული მეცნიერებები, მიმართულებათაშორისი დარგები
- იმერეთი, რაჭა, შიდა ქართლი: ინჟინერია, აგრარული მეცნიერებებსა და ბიზნეს ადმინისტრირება
- გურია: ხელოვნება, ბიზნეს ადმინისტრირება და ინჟინერია
- კახეთი: აგრარული მეცნიერებები, ინჟინერია და ჯანდაცვა

- სამცხე-ჯავახეთი: ინჟინერია, ბიზნეს ადმინისტრირება და ჯანდაცვა
- ქვემო ქართლი: ინჟინერია, აგრარული მეცნიერებები და ხელოვნება.

ცხრილი #5. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები მიმართულებებისა და რეგიონების მიხედვით (2017-2019 წლების გაერთიანებული მონაცემი)

		თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა - მთიანეთი	რაჭა	სამცხე - ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
1	აგრარული მეცნიერებანი	21.4	20	12.9	14.2	38.8	37.5	37.5	10	35.3	18
2	ბიზნესის ადმინისტრირება	7.2	8.7	22	11	4.7			20	6.6	18.9
3	განათლება	1	2		1.2	2.1			6	1.2	7.4
4	ინჟინერია	43.6	29.9	22	64.5	27.8	21	21	31	36.1	33.3
5	მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	0.7	0	7.5		0					
6	მიმართულებათა შორისი დარგები ან სპეციალობები	12.6	21.7	7.7	1.7	5.5	37.9	37.9	5.4	1.4	
7	სამართალი	0.9	0						8.1		
8	სოციალური მეცნიერებები	0.5	6.2		0.6						12.3
9	ხელოვნება	11.1	5.6	28	7	9.9	3.9	3.9	7.3	12.6	6.27
10	ჯანდაცვა	2	6.7		0	11.1			12.3	7	3.9

7 პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ხელმისაწვდომობა და პროფესიული უნარების მოთხოვნა - მიწოდების შესაბამისობა

მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად გამოყენებული იქნა მონაცემთა ბაზა: EMIS, საქსტატი; LMIS, დამატებითი მონაცემები შეგროვდა მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების გეგმებიდან.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენ კვლევაში განვიხილავთ რა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება/გაძლიერებაა რელევანტური კონკრეტულ მუნიციპალიტეტში/რეგიონში.

ამ უკანასკნელის კრიტერიუმები შემდეგია, რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში:

- არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა, ახალგაზრდების რაოდენობა და მათი წილი მოსახლეობაში;
- მოწყვლადობა-სიღარიბის დონე და იძულებით გადაადგილებულ პირთა კონცენტრაცია;
- მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობა - პროფესიული სწავლების ცენტრების განვითარების პერსპექტივას აუცილებელია მუნიციპალიტეტის სხვა, მეზობელ მუნიციპალიტეტებთან მდებარეობის გათვალისწინება. ერთის მხრივ ეკონომიკურად გამართლებულია სასწავლებლის გასახსნელად ცენტრალურად მდებარე მუნიციპალიტეტის პერსპექტივა, მაგრამ მეორეს მხრივ ასევე აუცილებელია იზოლირებულ, მაღალმთიან რეგიონებში ცოდნით მიღების შესაძლებლობის გაპირობება.
- უმუშევრობის დონე;

- ეკონომიკის ძირითადი დარგები, არსებული და შესაძლო ინვესტიციები -გამომდინარე ეკონომიკური დონიდან, ადგილმდებარეობიდან, ქალაქისა და სოფლის თანაფარდობისგან, ბუნებრივი და სხვა რესურსების ხელმისაწვდომობისაგან საქართველოს რეგიონები არათანაბარი შესაძლებლობებით გამოირჩევიან. პროფესიული უნარების მიმართებასთან დაკავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალიტეტის რესურსებს და განვითარების პერსპექტივებს, რაც წესით ასახული უნდა იყოს მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიულ გეგმებში.
- პროფესიული კადრების საჭიროებები;
- რეგიონის/მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტივები
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა 17 ლოკაცია, სადაც განსაკუთრებით დაბალია პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და რეკომენდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო ქსელის გაფართოება (იხ.ცხრილი#1).

ცხრილი #1. მუნიციპალიტეტები, რომელშიც რეკომენდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო ქსელზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

		მუნიციპალიტეტები
1.	თბილისი	-
2.	აჭარა	ქედა, ქობულეთი (ერთი პროფესიული კოლეჯი არის)
3.	გურია	ლანჩხუთი, ჩოხატაური
4.	იმერეთი	ხარაგაული, ვანი
5.	კახეთი	სიღნაღი, ყვარელი
6.	მცხეთა-მთიანეთი	წეროვანის დევნილთა დასახლება, დუშეთი
7.	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	ცაგერი, ლენტეხი
8.	სამეგრელო-ზემო სვანეთი	მარტვილი
9.	სამცხე-ჯავახეთი	ასპინძა, ადიგენი.
10.	ქვემო ქართლი	თეთრიწყარო, წალკა
11.	შიდა ქართლი	-

ანალიზმა აჩვენა კვალიფიკაციებზე შეუსაბამო მიწოდება. ანალიზი ჩატარდა მიმართულებებისა და სპეციალობების დონეზე.

ცხრილში #2 მოცემულია რეგიონების მიხედვით მოთხოვნილი მიმართულებები და რომელი 4 მიმართულებით მომზადდა ყველაზე მეტი კადრი; მოთხოვნი-მიწოდების მიმართულებებს შორის სჭარბობს ინჟინერია, სადაც შედის მშენებლობის დარგი, რაც სავარაუდოდ ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროექტებს უკავშირდება. გარკვეულ თანხვედრაშია ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებები. თითქმის ყველა რეგიონში მომზადდა კადრები ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, სადაც შედის საბუღალტრო აღრიცხვა, მენეჯმენტი, ფინანსები, თუმცა მოთხოვნად მიმართულებად ნაკლებადაა დასახელებული. ასევე რეგიონების უმეტესობა 4 პრიორიტეტულ სფეროში ამზადებს ხელოვნების სპეციალობებს, თუმცა მოთხოვნად მიმართულებებს შორის თითქმის არ დასახელებულა.

ცხრილი #2. კადრების მომზადება ოთხ პრიორიტეტულ მიმართულებაში რეგიონების მიხედვით

რეგიონი	მოთხოვნილი მიმართულებები	4 პრიორიტეტული მიმართულება
თბილისი	ვაჭრობის, მშენებლობის, ჯანდაცვის სექტორების სპეციალისტები; სერვისის და ვაჭრობის, ტურიზმის (სასტუმროები და რესტორნის სექტორების) სპეციალისტები	• ინჟინერია, მათ შორის მშენებლობა • ჯანდაცვა • ბიზნეს ადმინისტრირება • აგრარული მეცნიერებები.
აჭარა	ტურიზმის, სერვისის, კულინარიის, IT, განათლების, ლოგისტიკისა და მშენებლობის სფეროს სპეციალისტები სოფლის მეურნეობის, ხელოვნებისა და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები	• მიმართულებათა შორის დარგები (მათ შორის ტურიზმი) • ინჟინერია, მათ შორის მშენებლობა • ბიზნეს ადმინისტრირება • ჯანდაცვა
გურია	სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, კომპიუტერული ტექნოლოგიები, სარესტორნო საქმესთან დაკავშირებული პროფესიები.	• ინჟინერია, მათ შორის მშენებლობა • დიზაინი • აგრარული მეცნიერებები • ბიზნესის ადმინისტრირება
იმერეთი	ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები; ინდუსტრიულ ქალაქებში ზესტაფონსა და ტყიბულში ფიქრობენ, კერძოდ მადნის დამუშავებასა და ქვანახშირის მოპოვებასთან დაკავშირებული სპეციალისტების მომზადების საჭიროება. თუმცა ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება ამჟამად შეწყვეტილია.	• ინჟინერია, მათ შორის მშენებლობა • აგრარული მეცნიერებანი • ბიზნეს ადმინისტრირება • ხელოვნება.
კახეთი	სოფლის მეურნეობის, მშენებლების, ტურიზმის სფეროს სპეციალისტები; მექანიზატორები, ვეტერინარები	• აგრარული მეცნიერებები • ინჟინერია, მათ შორის მშენებლობა • ხელოვნება. • ბიზნესის ადმინისტრირება
მცხეთა-მთიანეთი	სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მშენებლობის, მომსახურების სპეციალისტები	• აგრარული მეცნიერებანი • ინჟინერია, მათ შორის მშენებლობა • მიმართულებათა შორის დარგები ან სპეციალობები (მათ შორის ტურიზმი) • ხელოვნება
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	ტურიზმის, ხე-ტყის კომპიუტერის, სამკერვალო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.	• ინჟინერია, მათ შორის მშენებლობა • აგრარული მეცნიერებანი • ბიზნესის ადმინისტრირება • ხელოვნება
სამეგრელო-ზემო სვანეთი	სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მშენებლობა-ინჟინერიის სპეციალისტები	• ინჟინერია, მათ შორის მშენებლობა • ბიზნეს ადმინისტრირება • ჯანდაცვა • სამართალი.
სამცხე-ჯავახეთი	მშენებლობის, ვაჭრობის, ტურიზმის (სასტუმროები და რესტორნები მზარეული და	• ხელოვნება (დიზაინი) და • ბიზნეს ადმინისტრირება • ჯანდაცვა

	დამლაგებელი ა.შ), ჯანმრთელობის სფეროს სპეციალისტები სასმელების წარმოება, მებაღეობა-მეუზოვეობა, ხე-ტყის გადამამუშავება და ანტისეპტირება	• განათლება
ქვემო ქართლი	სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტურიზმის სფეროს სპეციალისტები	• ჯანდაცვა • ინჟინერია, მათ შორის მშენებლობა • ბიზნეს ადმინისტრირება • ხელოვნება
შიდა ქართლი	ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ინჟინერია/მშენებლობის, IT სფეროს სპეციალისტები	• ბიზნეს ადმინისტრირება • ინჟინერია, მათ შორის მშენებლობა • ჯანდაცვა • ხელოვნება

კვალიფიკაციებზე მოთხოვნა-მიწოდების ანალიზისას უფრო მარტივია იმის განსაზღვრა, რომელ კვალიფიკაციებზეა ნაკლები მოთხოვნა, თუმცა უფრო რთულია ჭარბი მიწოდების ანალიზი, რადგან მოთხოვნასთან შეუსაბამო ყველა კვალიფიკაცია ვერ იქნება ჭარბი. სპეციალისტების მომზადება ასევე შესაძლოა ხდებოდეს კონკრეტული საწარმოების საჭიროებების შესაბამისად და არ იყოს ფართომასშტაბიანი; მაგალითად სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტები, გვირაბგამყვანი და ა.შ.

ცხრილში #3 მოცემულია ის სპეციალობები, რომლებზედაც მოთხოვნაზე ნაკლებია მიწოდება. როგორც ცხრილიდან ჩანს სპეციალობების ნუსხა საკმაოდ მრავალფეროვანია.

ყველაზე ნაკლები სპეციალობა, რომელზედაც დაბალია მიწოდება დასახელდა გურიაში, კახეთსა და შიდა ქართლში; ყველაზე მეტი მცხეთა-მთიანეთსა და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

ცხრილი #3. სპეციალობები რომელზედაც მიწოდება მოთხოვნაზე ნაკლებია

	სპეციალობები		
თბილისი	1. ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ოპერატორი 2. საწყობის ოპერატორები 3. დანადგარების ოპერატორი	4. გიდები 5. დამლაგებლები 6. მძღოლები 7. მიმტანები	
აჭარა	1. აგრო ბიზნესის სპეციალისტები 2. აგრონომი 3. მშენებლები 4. მევენახეები 5. მეთამბაქოეობას 6. სოფლის მეურნეობის და ტურიზმის სპეციალისტები 7. მესაქონლეობა-მეფრინველეობის სპეციალისტები 8. ელექტრიკოსები 9. სანტექნიკოსები	11. სერვისისა და მომხმარებელთა ასისტირების უზრუნველყოფის სპეციალისტი კომპიუტერული მეცნიერებები (ტექნოლოგიები) 12. საბადო - საპარკო მეურნეობის სპეციალისტი 13. ინვესტიციების მოზიდვისა და პროექტების	14. ადამიანური რესურსების მართვა* 15. ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტი* 16. სკოლამდელი აღზრდის მუსიკის პედაგოგი* 17. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგი* 18. ლანდშაფტის არქიტექტორი*

	10. საყოფაცხოვრებო ტექნიკის ხელოსნები	მართვის სპეციალისტი,	19.
გურია	1. აგრონომები 2. მძღოლები		
იმერეთი	1. ელექტრონული მარკეტინგის - გაყიდვების სპეციალისტი 2. მარკეტინგის სპეციალისტი 3. მდნობელი 4. მეღვინე 5. მეცხოველე	6. მეხილე 7. მომსახურების სფეროს წარმომადგენელი 8. სასტუმროს ადმინისტრატორები 9. ქვანახშირის წარმოების სპეციალისტი	10. ღვინის ტექნოლოგი 11. ჩაის კულტურის სპეციალისტები 12. ხარატი
კახეთი	1. მექანიკოსი 2. ფინანსისტი 3. თარჯიმანი* 4. ლაბორანტი 5. კონსულტანტი	1. საწყობის მუშა/საწყობის გამგე 2. დისტრიბუტორი 3. მძღოლი 4. კვების ტექნოლოგები	5. მზარეულები 6. მიმტანები 7. დამლაგებელი
მცხეთა-მთიანეთი	1. აიტის სპეციალისტები 2. ბიზნესის წარმოების სპეციალისტი 3. ბუღალტრები 4. გეოლოგები 5. ენერგეტიკოსები 6. ვეტერინარები 7. ინჟინრები 8. კერძო ბიზნესისა და ტურიზმის სფეროს სპეციალოგები 9. მუშები	10. მშენებლები 11. რძის პროდუქტების სპეციალისტები 12. სასტუმროს ადმინისტრატორები 13. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები 14. ტურიზმის სფეროს მუშაკები, 15. უსაფრთხოების სპეციალისტები 16. ფერმლები 17. ხის დამუშავების სპეციალისტები	18. კულინარიები 19. ლანდშაფტის დიზაინერები 20. მელიორატორები 21. მომსახურების სფეროს სპეციალისტები 22. შემღებლები 23. შრომის ინსპექტირების სპეციალისტები 24. პედაგოგები*
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	1. სამშენებლო-მექანიზაციის სპეციალისტები 2. ავტოტექნიკური და ელექტრო მომსახურება 3. სამკერვალო და ხის დამუშავების სპეციალისტები 4. კომპიუტერული ტექნოლოგიების (ბალანსდება მომზადებით) 5. ტურისტული მენეჯმენტის სპეციალისტები	6. სასტუმროს სპეციალისტები 7. რესტორანის სპეციალისტები 8. კვების სპეციალისტები 9. სატყეო საქმე 10. ტუროპერატორი 11. შეღებვა 12. ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	13. მშენებლობის წარმოება (ბალანსდება მომზადებით) 14. სამკერვალო წარმოება 15. ქვის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი 16. ლითონის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1. აგრარული მეცნიერებანი/აგრონომები 2. ამწის მემანქანები. 3. ვეტერინარები 4. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები 5.	6. საოჯახო-საყოფაცხოვრებო ტექნიკის მემონტაჟები და შემკეთებლები 7. ინჟინრები 8. მშენებლები	9. გადამამუშავებელი მრეწველობის სპეციალისტები 10. ფინანსისტები* 11. თარჯიმნები*
სამცხე-ჯავახეთი	1. გიდეები 2. წყალმომარაგება-წყალარინება 3. აგრონომია 4. ტრაქტორისტები 5. მიმტანი 6. სანტექნიკოსი	8. გათბობა - კონდიციონერების სპეციალისტები 9. რძის გადამამუშავების (იოგურტი, არაჟანი, კარაქი, მაწონი,	10. უცხო ენების სპეციალისტები (არ არის პროფესიული განათლება)

	7.	ყველი) სპეციალისტები	
ქვემო ქართლი	1. მემანქანე 2. მჭედელი 3. მზარეული, სტილისტი 4. ვეტერინარები 5. აგრონომები, აგროინჟინრები 6. ღვინის ტექნოლოგები	7. ინჟინერ- მშენებლები 8. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები 9. ტურიზმის სფეროს სპეციალისტები 10. სხვა აგრარული მიმართულების კადრები	11. გეოლოგები (არ არის VET სპეციალობა)* 12. ჰიდროგეოლოგები (არ არის VET სპეციალობა)* 13. არქიტექტორები (არ არის VET სპეციალობა)*
შიდა ქართლი	1. ტურიზმი 2. ინჟინერი	3. ეკონომისტი 4. ფინანსისტი, პიარის სპეციალისტი 5. სარკინიგზო საქმის სპეციალისტები	6. კულინარია 7. კონდიტერია 8. ქვის დამუშავება

*განსახილველია რამდენად არის პროფესიული სფერო

8 დასკვნები და რეკომენდაციები

8.1 დასკვნები

წინამდებარე კვლევამ აჩვენა არათანაბარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. კვლევაში გამოიკვეთა 17 მუნიციპალიტეტი, სადაც განსაკუთრებით დაბალია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა. თუმცა, გარკვეულ მუნიციპალიტეტებში იგეგმება პროფესიული სასწავლებლების ან ფილიალების დაარსება, რაც გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას კიდევ უფრო გაზრდის, მაგალითად წყალტუბო, ბორჯომი და სხვა. ახალგაზრდობის სააგენტოს ახალგაზრდობის კვლევაც ადასტურებს, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს. ამათგან უფრო მეტი პროფესიული განათლების კურსდამთავრებულია, ვიდრე პროფესიული სტუდენტი.

ქვეყნის მასშტაბით სჭარბობს მოთხოვნა შემდეგ მიმართულებებზე: მშენებლობა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, IT/კომპიუტერული ტექნოლოგიები, ჯანდაცვის სფერო, სერვისი/მომსახურება. თუ შევადარებთ უნარებზე მოთხოვნასა და რეგიონების მიხედვით არსებულ და სამომავლო ინვესტიციებსა და რეგიონის განვითარების პრიორიტეტებს, ვნახავთ რომ მათ შორის შესაბამისობაა. გამონაკლისია უნარებზე შემდეგი მოთხოვნა, რომელიც არ არის ინვესტიციებთან და რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებული; ესენია: თბილისში არ არის მოთხოვნა ტრანსპორტისა და ლოგისტიკისა, ინდუსტრიული სექტორის სპეციალისტებზე; აჭარაში IT, ხელოვნებისა და განათლების სპეციალისტებზე მოთხოვნა არ უკავშირდება ინვესტიციებს ან რეგიონის საჭიროებებს. გურიაში IT სპეციალისტებზე, რაჭა ლეჩხუმში IT და სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტების, სამცხე-ჯავახეთში: ვაჭრობის, ჯანმრთელობის სფეროს სპეციალისტები, სასმელების წარმოება, მეზღვაობა-მეუზოვეობასა და ხე-ტყის გადამუშავება და ანტისეპტირებაზე. აღსანიშნავია, რომ სპეციალისტების ნაწილზე შესაძლოა ბევრ დარგში იყოს მოთხოვნა, მაგალითად IT სპეციალისტები ან შესაძლოა უკავშირდება კონკრეტული საწარმოების საჭიროებას.

2017-2019 წლებში საქართველოს მასშტაბით პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი კადრი მომზადდა შემდეგი მიმართულებით: ინჟინერია, ბიზნეს ადმინისტრირება, ჯანდაცვა და აგრარული მეცნიერებანი.

ცხრილი #1. პროფესიულ კვალიფიკაციებზე მოთხოვნა, მომზადება და დასაქმება მიმართულებების მიხედვით 2017-2019 წწ

	მიმართულება	დარგი	მომზადება	დასაქმება	მოთხოვნა
1.	აგრარული მეცნიერებანი	აგრონომია, ვეტერინარია, მენეჯმენტი, მეცხოველეობა, სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე	13.03	20.2	X
2.	ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი	საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა, სამდივნო და საოფისე საქმე, ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	16.69	10.9	
3.	განათლება	მასწავლებლის განათლება	0.89	1.4	
4.	ინჟინერია	აგროინჟინერია, გარემოს ინჟინერია & უსაფრთხოება, ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია, კომპიუტინგი/ინფორმატიკა, მასალათმცოდნეობა, მექანიკის ინჟინერია & ტექნოლოგია, მშენებლობა, სამთო & გეოინჟინერია, სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია, ტრანსპორტი, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია, ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები	29.96	41.4	X
5.	ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა	ელექტრობა და ენერგია, მექანიკა და ლითონის საქმე, მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია	0.41		
6.	ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება	0.48	8 (მხოლოდ 2019)	X
7.	მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	გეოგრაფია	0.13		
8.	ჯანდაცვა	მედიცინა, საექთნო საქმე (ექთანი/ბებია ქალი), სტომატოლოგია, ფარმაცია, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	16.37	4.6	X
9.	ხელოვნება	აუდიოვიზუალური ხელოვნება, დიზაინი, მედია ხელოვნება, სამუსიკო ხელოვნება, სახვითი ხელოვნება, ქორეოგრაფიული ხელოვნება	8.15	10	
10.	სოციალური მეცნიერებები	კულტურული მემკვიდრეობა, მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა	0.52	1.1	
11.	სამართალი	სისხლის სამართალი	2.85	1.2	
12.	მომსახურებები	სასტუმრო, რესტორანი და კვება, თმის და სილამაზის მომსახურებები	0.140		
13.	მიმართულებათა აშორისი დარგები ან სპეციალობები	არქიტექტურა, საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია/გემის მექანიკა/გემის ელექტრომექანიკა), სპორტი, ტურიზმი	10.38	9.1	X

	ჯამი		100		
--	------	--	-----	--	--

წყარო: მონაცემები გაანგარიშებულია EMIS მონაცემთა ბაზის მიხედვით

მიმართულებების მიხედვით შესაბამისობაა ინჟინერია/მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის, მიმართულებით; გაცილებით ნაკლები კადრი მომზადდა შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში: IT/კომპიუტერული ტექნოლოგიების, ტურიზმი, ჯანდაცვის სფერო და სერვისი/მომსახურება, სადაც დასაქმება 4.6 % - 9.1% ვარირებს.

რეგიონების მიხედვით მოთხოვნა-მიწოდების ანალიზმა აჩვენა, რომ შესაბამისობა სჭარბობს ინჟინერიის მიმართულებაზე, სადაც შედის მშენებლობის დარგი, რაც სავარაუდოდ ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს უკავშირდება. გარკვეულ თანხვედრაშია ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებები. თითქმის ყველა რეგიონში მომზადდა კადრები ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, სადაც შედის საბუღალტრო ადრიცხვა, მენეჯმენტი, ფინანსები, თუმცა მოთხოვნად მიმართულებად ნაკლებადაა დასახელებული. თუმცა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით კურსდამთავრებულთა 10.9% საქმდება რაც გარკვეულ მოთხოვნაზე მიუთითებს. ასევე რეგიონების უმეტესობა 4 პრიორიტეტულ სფეროში ამზადებს ხელოვნების სპეციალობებს (აქ შედის დოზინი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო ხელოვნება), თუმცა მოთხოვნად მიმართულებებს შორის თითქმის არ დასახელებულა. კურსდამთავრებულთა კვლევა აჩვენებს რომ ამ სფეროში დაახლოებით 10% საქმდება, რაც კვლავ მოთხოვნაზე მიუთითებს და ჭარბ მომზადებად ნაკლებად ჩაითვლება.

ანალიზმა აჩვენა, რომ შესაბამისობა პროფესიულ კვალიფიკაციებზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის მიმართულებების მიხედვით უფრო მაღალია, ვიდრე სპეციალობების მიხედვით. კვლევამ გამოავლინა სპეციალობების საკმაოდ ვრცელი ნუსხა, რომლებზედაც რეგიონებში მიწოდება ვერ ხორციელდება მოთხოვნისა და მიუხედავად. მაგალითად, ვეტერინარები, მძღოლები, დამლაგებლები, გიდები, სანტექნიკოსები და ა.შ. რეკომენდებულია ამ მიმართულებებით პროგრამების მომზადება და სწავლება. ამომწურავი ინფორმაცია მოცემულია მე-7 თავის #3 ცხრილში; ეს ინფორმაცია პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეუძლიათ ახალი სპეციალობების შეთავაზებისას გამოყენონ.

კვლევის საფუძველზე უფრო მეტად გამოიკვეთა ის სფეროები სადაც მიწოდება ნაკლებია და არა სადაც მიწოდება ჭარბია. იქიდან გამომდინარე რომ პროფესიული განათლების ზომა მცირეა, მოთხოვნა მრავალფეროვანია და ყოველწლიურად დაახლოებით 10 000 კადრის მომზადება ხდება ჭარბი მიწოდება ნაკლებად ფიქსირდება. ამასთანავე, ჭარბი მიწოდების შეფასებას ართულებს ის, რომ ხელმისაწვდომი არ არის მოთხოვნის შესახებ ზუსტი რაოდენობრივი ინფორმაცია; გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ მიმართულებები რომლებიც ნაკლებად მოთხოვნილი იყო, როგორიცაა მაგალითად ბიზნეს ადმინისტრირება და ხელოვნება, კურსდამთავრებულთა დაახლოებით 10% საქმდება, რაც თავისთავად გარკვეული მოთხოვნის არსებობაზე მიუთითებს. ამდენად კვლევა, აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია კადრების მომზადების გაზრდა მოთხოვნილი მიმართულებით, სადაც ნაკლებია მიწოდება.

მოთხოვნა-მიწოდების გაუმჯობესება განათლების ხარისხთან ერთად მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის. დასაქმების მზარდი ტენდენცია 2019 წლს შემცირდა სავარაუდოდ კოვიდის გავლენით, თუმცა განათლების ხარისხი კვლავაც გაუმჯობესებას საჭიროებს. ამას ახალგაზრდობის სააგენტოს კვლევაც ადასტურებს, რომ მაღალია ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელია და რომ, მიღებული განათლების ხარისხით უფრო კმაყოფილები არიან პროფესიული სტუდენტები და სხვა სტუდენტები (69%), ვიდრე პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები (56%).

8.2 რეკომენდაციები

რეკომენდებულია პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნა-მიწოდების სისტემატური კვლევა; ყველა დაინტერესებულ მხარეს უნდა შეეძლოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება; საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამინისტროებს და მათ სააგენტოებს, დამსაქმებლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ა.შ. ამ მიზნით კი მნიშვნელოვანია მონაცემთა შესაბამისი ბაზების სრულყოფა და ავტომატიზება, როგორცაა EMIS, LMIS; მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა კვლევის მონაცემების შეგროვება და ანალიზი არა მხოლოდ რეგიონებისა და მიმართულებების მიხედვით, არამედ სპეციალობებისა და რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე.

პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ინსტიტუციურ ბარიერს მიეკუთვნება (Cross, 1992), რომლის შემცირება ზრდის განათლებაში მონაწილეობას. ამ კვლევაში მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო ქსელი იყო შესწავლილი, თუმცა ინსტიტუციური ბარიერები უფრო ფართოა. კვლევაში გამოიკვეთა მუნიციპალიტეტები, სადაც რეკომენდებულია ქსელის გაფართოვება, თუმცა პროფესიული კოლეჯის/ფილიალის გახსნის გადაწყვეტილების მიღებამდე მიზანშეწონილია არსებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის საფუძვლიანად შესწავლა, კერძოდ კი სკოლების და უსდ-ის და დადგენა თუ შესაძლებელია მათ ბაზაზე დამატებითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. პროფესიული კოლეჯის/ფილიალის დაარსება უნდა ემყარებოდეს საფუძვლიან ანალიზს, მათ შორი ხარჯ-ეფექტურობის ანალიზს, ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობის და ა. შ. გასათვალისწინებელია მოსახლეობის დემოგრაფიული ფაქტორები, სიღარიბის დონე, სამომავლო გრძელვადიანი ინვესტიციები, გრძელვადიანი დასაქმების შესაძლებლობები და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებისათვის, მათ შორის მაღალმთიანი და მეჩხერად დასახლებულის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ქსელის გაფართოვება არა მხოლოდ ადამიანური რესურსების მოსამზადებლად არის მნიშვნელოვანი, არამედ ის ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რეგიონის განვითარებას, ახალგაზრდობის დაკავებას რეგიონში და სხვა.

მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს მოქნილი მიდგომა, რაც დააბალანსებს ქსელის ხელმისაწვდომობას; შესაძლებელია სადამოს კურსების შეთავაზება სკოლებსა თუ სხვა დაწესებულებებში, საერთო საცხოვრებლების უზრუნველყოფა, ტრანსპორტირების უზრუნველყოფა სტუდენტების ტრანსპორტირებისთვის სხვა მუნიციპალიტეტიდან.

მნიშვნელოვანია ოპტიმალური საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც გეოგრაფიული, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების/დისციპლინების თვალსაზრისით; ამ მიზნით რეკომენდებულია საჯარო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, არაფორმალური პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის კოორდინაციისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება.

მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მეტად მორგება ქვეყნის, რეგიონის/მუნიციპალიტეტების არსებულ პრიორიტეტებზე, უცხოურ ინვესტიციებსა და საწარმოთა საჭიროებებზე; მნიშვნელოვანია პირველ რიგში იმ სპეციალობების სწავლების ხელშეწყობა, რომლებზედაც მოთხოვნა მაღალია, მაგრამ მიწოდება საერთოდ ვერ ხდება ან ნაკლებად ხდება. რეკომენდებულია შეუსაბამო/ჭარბი მიწოდების სპეციალობების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ოპტიმიზებას და მათი ადაპტირება არსებულ მოთხოვნებთან. მნიშვნელოვანია მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებისას მომზადება-გადამზადების პროგრამების გათვალისწინება და მათი განვითარების სტიმულირება ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად. მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის დასაქმებას; უმუშევარი ახალგაზრდობის 1/5 სწორედ უნარ-ჩვევების

ნაკლებობით ხსნის საკუთარ უმუშევრობას, შესაბამისად დაახლოებით ნახევარი თვლის რომ მათ დასაქმებაში პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარება დაეხმარებოდა (ახალგაზრდობის სააგენტოს კვლევა, 2020).

თუ გავითვალისწინებთ რომ მომზადებული სტუდენტების ნაწილი საქმდება შრომის ბაზარზე, მაგრამ მნიშვნელოვანია დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა და მეორეს მხრივ მოთხოვნადია სპეციალობების მიხედვით კადრების მომზადება, ეს ნიშნავს რომ მნიშვნელოვანია ერთის მხრივ კადრების კომპეტენციების გაუმჯობესება, რაც დასაქმების მაჩვენებელს გაზრდიდა, ხოლო მეორეს მხრივ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მეტი ახალგაზრდის მოზიდვა, და მათი მომზადება მოთხოვნად სპეციალობებზე. ამდენად მნიშვნელოვანია ერთის მხრივ განათლების ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო მეორეს მხრივ პროფესიული განათლების გაფართოვება. ორივე მიმართულება პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია.

ზოგადი რეკომენდაციები

პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა-მიწოდების გაუმჯობესება. სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მნიშვნელოვან როლს ისეთი პოლიტიკის ჩარჩოების შემუშავებაში, რომლებიც ხელს უწყობს მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობას. ამგვარ პარტნიორობაში უნდა ჩაერთონ სამთავრობო უწყებები, სახელმწიფო დასაქმების სერვისები, განათლებისა და დამსაქმებელთა სექტორები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური და ჯანდაცვის სერვისები. სოციალური პოლიტიკის გაძლიერება მნიშვნელოვანია უნარების შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

მნიშვნელოვანია მექანიზმების შემუშავება რომლებიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობენ სამუშაო ადგილების შექმნას, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, გაუმჯობესებს კურსდამთავრებულთა უნარებს და სამუშაოზე გადასვლას და მათ სტაბილურ დასაქმებას. მნიშვნელოვანია წახალისდეს სამუშაო ადგილების შექმნა დაბალ პროდუქტიული სფეროების გარეთ რათა მოხდეს სამუშაო ძალის გადანაწილება სოფლის მეურნეობიდან უფრო პროდუქტიულ საქმიანობებზე. საჭიროა პოლიტიკის გაძლიერება, რაც კომპანიებს საშუალებას მისცემს შექმნან უფრო ინკლუზიური და მაღალპროდუქტიული სამუშაო ადგილები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ინოვაციური პროგრამების შეთავაზება, სინერგიის გაფართოვება ინდუსტრიასა და კვლევებს შორის, მეწარმეობის წახალისება.

მიწოდების მხარესთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოიცავს პროცესების ერთობლიობას დაწყებული უნარების პროგნოზირებიდან და სერტიფიცირებით დასრულებული. უნარების შეუსაბამობის პრობლემის გადაჭრის მიზნით, მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს კავშირი განათლებასა და შრომის ბაზარს შორის.

პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დეტალურად უნდა შეისწავლონ ადგილობრივი თუ რეგიონული ბაზრის საჭიროებები და შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე დანარგინ პროფესიული კვალიფიკაციები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია ადგილობრივ დამსაქმებელთან უფრო მეტი კომუნიკაცია.

მოთხოვნის შესაბამისად კადრების მომზადების გარდა მიწოდების მხარემ შესაძლებელია სტიმულირება გაუკეთოს გარკვეული სფეროების განვითარებას მაღალკვალიფიციური, ხარისხიანი კადრების მომზადების გზით. ამისათვის მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება, ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური თანამედროვე პროფესიების დანერგვა, სტარტაპების, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა.

ხარისხიანი **განათლება და უნარები** მოთხოვნა-მიწოდების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს დუალური სისტემის დანერგვა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია საკვანძო კომპეტენციების განვითარება და თანამედროვე პროფესიების სწავლება. უნარების შეძენა უფრო ფართოდ უნდა იყოს შეთავაზებული მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

შრომის ბაზარზე გადასვლისა და დასაქმების ხელშეწყობა. Pohl და Walther-ის (2007 წ.) სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის მოდელის მიხედვით საქართველო მიეკუთვნება პოსტსოციალისტურ/გარდამავალ კლასტერს, რომელსაც ახასიათებს: კარგად განვითარებული ზოგადი განათლება, ნალებად განვითარებული და დაბალ პრესტიჟული პროფესიული განათლება (სკოლაზე ან კომპანიაზე დაფუძნებული), სუსტი კავშირები განათლების სისტემასა და შრომის ბაზარს შორის, დროებითი დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და უნარების მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობა. ამ მოდელის მიხედვით, საქართველოს მსგავსი გამოცდილების ქვეყნებმა ახალგაზრდების წარმატებული დასაქმებისთვის მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციონ დასაქმების სუბსიდიებს, სამუშაო გამოცდილების შეძენასა და შეგირდობას.

სამუშაო გამოცდილება არის მნიშვნელოვანი ელემენტი განათლებიდან სამუშაოზე წარმატებული გადასვლისთვის, პროფესიული განათლების რეფორმასთან ერთად. ორივე უნდა შეიცავდეს მაღალხარისხიან სამუშაო პრაქტიკასა და სტაჟირებას, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებულ პრაქტიკას, ვიზიტებს სამუშაო ადგილზე, მენტორობას, იმპროვიზირებულ გასაუბრებებს, კონკურსებს, საქმიანობას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კარიერული განათლების ეფექტურ მართვასა და კოორდინაციას სკოლებში/ პროფესიული განათლების სასწავლებლებში, კოლეჯებში / უმაღლეს სასწავლებლებში და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრებში. ამჟამად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ევროკავშირის ტექნიკური დასაქმების პროექტის მხარდაჭერით მუშაობს განათლების სფეროში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარების სტრატეგიაზე 2020-2025 წწ, რომლის მიზანია კარიერული მართვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესება, ხელმისაწვდომობის გაზრდა და დივერსიფიცირება. რეკომენდებულია შემუშავდეს კარიერული განათლების ყოვლისმომცველი პროგრამები და სახელმძღვანელო ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში; მნიშვნელოვანია განვითარდეს კარიერული კონსულტანტებისა და მრჩეველების შესაძლებლობები; შეიქმნას მაღალი ხარისხის მეთოდოლოგიური მასალები და რეგულარულად განახლდეს კარიერული ინფორმაცია.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურების გაძლიერება მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დასაქმების პოლიტიკის განსახორციელებლად. დასაქმების სახელმწიფო სამსახურებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიონ ახალგაზრდებს, მათი საჭიროებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

შრომის ბაზრის აქტიური პროგრამები. საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ შრომის ბაზრის აქტიური პროგრამები, წარმატებით გამოიყენება ახალგაზრდების შრომის ბაზარზე ინტეგრაციის გასაუმჯობესებლად. შრომის ბაზრის აქტიური პროგრამები მორგებული უნდა იყოს ახალგაზრდებისა და ზრდასრულების, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე. საქართველომ უნდა შეიმუშაოს NEET ახალგაზრდებთან წვდომის სტრატეგიები. წარმატებული სქემები მიმართული უნდა იყოს თითოეული ახალგაზრდის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და დაკმაყოფილებაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერება. მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერება შემდეგი მიმართულებით; მართვა, ეფექტური პარტნიორობის ჩამოყალიბება დამსაქმებლებთან, ინოვაციებისა და მეწარმეობის კულტურის ჩამოყალიბება, პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხის გაუმჯობესება, ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების დადგენა,

დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური და რეგულარული კომუნიკაცია, წარმატებული აპლიკანტების მოზიდვა, სწავლება-შეფასების ხარისხის უზრუნველყოფა და სხვა.

საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაღალი დონის დაბალანსებისთვის მნიშვნელოვანია მეწარმეობისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მეწარმეობისა და ინოვაციის კულტურის შექმნა მოითხოვს მრავალფეროვან ღონისძიებებს, როგორიცაა: უნარ-ჩვევების განვითარება, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, ქოუჩინგი და მენტორობა, ინფორმაციისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. მეწარმეობა უნდა გახდეს ფორმალური და არაფორმალური სწავლების, ასევე კარიერული მართვის მნიშვნელოვანი ნაწილი.